იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალ-ხის გაცრუება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

სამშაბათი, 12 მარტი. 2019 წ. №49 (8715) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

თაკოს პოლიტიკური მშობიარობა, ანუ ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალიღა აკლდაო...

აი, ოცნებელნო, დაგენიშნათ ეს პოლიტიკურად ატეხილი თუ ატროებული ქალი საქართველოს კულტურის მინისტრად თუ არა, მოადგილედ მაინც და „გაწიწმატებულ" ჟანა დარკს აღარ მიიღებდით!

აქამდე კი უძლებდით ნაციონალებთან ერთად ნაციონალთაგანვე წყალგადასხმულ ხელისუფლებაში მოსასვლელად გაგიჟებულ, ჭკუიდან გადასულ პოლიტიკურ პარტიებს, მაგრამ თაკოს პარტიის ჯერ მარტო სახელს დაუკვირდით — **„კანონი და სამართალი"** — და მერე თვითონ ტრიბუნასთან ფიურერულად ხელგაწვდილი თაკო ჩარკვიანი წარმოიდგინეთ!

არ ვიცით, ვერ გეტყვით, რამდენად ლომის სწორი ძუ ლეკვია ეს ჩვენი თაკუნია მიხაილსააკაშვილოვნა თუ გრიგოლვაშაძისოვნა, მაგრამ თაკოს ქართველ ადოლფოვნობაში ეჭვი არც ერთ ჭკუათამყოფელს არ ეპარება (ბოდიში ჯანსულის უქართულეს ვაჟკაცურ სულთან!).

ასე რომ, „ოცნებავ", ფრთხილად! ერთად დაგატყდებათ თავს კანონი და სამართალი. ტაკოს ფიურერობას ნუ ეხუმრებით!

არიან ძუნი, რომელნიც ხვადებად უნდა დაბადებულიყვნენ, მაგრამ თავიანთ ხვადობას ბოლოს და ბოლოს მაინც ავლენენ!

რაც საქართველოში არ მოხდეს, თქვენ ის გიკვირდეთ, თორემ ძუ ლეკვის ხვადად გადაქცევა რა გასაკვირია!

გუშგვეი ამახვს!, ვაშინერს!, მტრისას!

ბეთქილ დადეშქელიანი

დენი აფხაზეთისთვის: ეს არ არის ბიუჯეტის ფლანგვა!

4

კორუფცია, არაკომპეტენტურობა და პროვინციალიზმი

9

მათია ბალდონი: მიმდინარე წელს საქართველო სერიოზული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდება!..

8

გერმანელი მეცნიერისადმი ცილისწამება ყიამყრალ ნაციონალებთან მიგვიყვანს!

2

წულუკიანი მინისტრის პოსტს დატოვებს?!

ჟურნალისტებთან საუბრისას, მედიაში გავრცელებული ინფორმაცია შესაძლო გადადგომის შესახებ თეა წულუკიანმა უარყო და დასძინა, რომ საკითხმა, რომლის ირგვლივაც მიმდინარეობს მსჯელობა მთავრობაში, შესაძლოა მისი თანამდებობიდან წასვლა განაპირობოს.

„პირველ რიგში, შემიძლია ვთქვა, რომ არა, არ გადავმდგარვარ. თუმცა არის ოთხი-ხუთი დღის წინ გაჩენილი საკითხი, რომელიც ეხება ჩემი სამინისტროს უფლებამოსილების ფარგლებში გადასაწყვეტ საკითხს. ამ თემაზე მიმდინარეობს დისკუსია და მე მაქვს ჩემი ძალიან მყარი პოზიცია, რომელიც არც რომელიმე ერთ რეფორმას, არც რომელიმე ერთ პროცესს ან პროცედურას არ ეხება, თუნდაც ამჟამად პარლამენტში მიმდინარეობს. ეს არის საკითხი, რომელიც არის ჩემს თვალში მასშტაბური, მნიშვნელოვანი და თუ ვნახე, რომ ეს პოზიცია არ იქნება გაზიარებული, ფასეულობათა შორის წინააღმდეგობა იქნება, მე, რა თქმა უნდა, არ ვიფიქრებ არც ერთ წუთს და გვერდზე გავიწევი, თანამდებობა არ არის ფასეული", — განაცხადა წულუკიანმა.

უცნობი „ტყიბულელი ბეგის" უცნობი წერილები

5



საქართველოსა და სამხრეთ კორეის რესპუბლიკას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი ქობულიას კორეის რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს მთავრობასა და კორეის რესპუბლიკის მთავრობას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ გენადი არველაძემ და კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლი თეა-ჰომ. ეს ხელშეკრულება ძალაში 30 დღის შემდეგ შევა.

შეთანხმება ითვალისწინებს კორეის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობების შესწავლას ორივე მხარისთვის მომგებიან სფეროებში, მათ შორის საინვესტიციო, ვაჭრობის, ტურიზმისა და მრეწველობის სექტორებში და ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას ქვეყნებს შორის სოციალურ-კულტურული ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობის ჩათვლით. ხელშეკრულების ეფექტიანად განხორციელების და ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების მიმართულებების შესწავლის მიზნით კორეის რესპუბლიკა და საქართველო ერთობლივ კომიტეტს შექმნიან. კომიტეტის ფარგლებში მოხდება არსებული ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების და სხვადასხვა სექტორებში თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობებისა და პერსპექტივების განხილვა.

საქართველოსთან შეთანხმების გაფორმება მიზნად ისახავს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებას, მათ შორის კორეული კომპანიების საქართველოს ბაზარზე უფრო ფართოდ წარმოდგენის გზით. მხარეები ასევე შეთანხმდნენ, დაიწყონ მოლაპარაკებები კორეის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ შეთანხმების შესახებ, ორმხრივად ხელსაყრელ დროს.

არაფრის დათმობას არ ვაპირებთ!

არაფრის **დათმობას არ ვაპირებთ. სამშენებლო გრაფიკისთვის ერთი დღითაც არ გადაგვიცდენია,** — ამბობს „თიბისი ბანკის“ დამფუძნებელი მამუკა ხაზარაძე კვირის პალიტრასთან ინტერვიუში, ანაკლიის პორტის შესახებ.

„არაფრის დათმობას არ ვაპირებთ. სამშენებლო გრაფიკისთვის ერთი დღითაც არ გადაგვიცდენია. როცა დავინახე, რომ ბანკებთან მოლაპარაკება არა ჩვენ გამო, არამედ მათივე მოთხოვნების გამო გადაიწია, ავიღეთ და 70 მილიონი დოლარის ინვესტიცია მოვახდინეთ, რომ არ ჩამოვრჩენოდით მშენებლობის გრაფიკს. ღმერთმა დაიფაროს და, ხვალ რომ არ გამოვიდეს რაღაცის გამო მოლაპარაკება ან გაჭიანურდეს, ჩვენთვის ეს ხომ რისკია?! და ამ დროს სახელმწიფო გამოდის და გვეუბნება, შენ ვერ შეასრულე რაღაც, წადი სახლში და აწი მე გავაგრძელებო. სწორია, რომ ახლა მთელი ჩვენი ენერგია ინტერვიუებსა და ინვესტორების დაწყნარებაზე მიდის? ჩვენ მხოლოდ იმას ვითხოვთ, რომ საქმე სწრაფად გამოიძიონ. რვა თვე რით ვერ გაარკვიეს, ფულის გათეთრება იყო თუ არა, როცა ერთ დღეში „გაარკვიეს“, მუქარის წერილი ნამდვილი იყო თუ არა“, — განაცხადა ხაზარაძემ.

ანაკლია: ემანდ საუბარი ცარიელ სიტყვებად არ დარჩეს!

საქართველოს ვიცე-პრემიერის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის განცხადებით, სახელმწიფო მუშაობს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პროექტით დაინტერესებულ ყველა მხარესთან. მისი თქმით, 8 თებერვალს შედგა პირველი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე სამინისტრომ, ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა და ოთხმა საფინანსო ინსტიტუტმა. ამ შეხვედრაზე იყო პოზიციების დაზუსტების მცდელობა, ახლა კი ელოდებიან პროცესების განახლებას.

„შეხვედრები გრძელდება. მეტსაც გეტყვით, ჩვენ გვაქვს ძალიან აქტიური მუშაობა კონსორციუმთან და ყველა იმ დამფინანსებელთან, რომელსაც სჭირდება სახელმწიფოს მონაწილეობა ამ პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩვენ იმ ახალ პირობებზე ვლაპარაკობთ, რომლებზეც არ გვქონია საუბარი არც კონკურსის, არც საინვესტიციო ხელშეკრულების გაფორმების და მეტიც, არც შემდგომ ეტაპზე და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვართ დაინტერესებული ამ პროექტის სწრაფი შესრულებით, ჩვენ ვთქვით, - მოდი, კიდევ 6 თვით გადავწიოთ ვადა. საფინანსო ინსტიტუტებისგან მივიღეთ ახალი პირობები, ეს არის პირობები, ვიდრე დეტალიზაცია. ჩვენ არ გვაქვს ზუსტი ინფორმაცია თუნდაც ტვირთების გარანტიაზე. ვიცით, რომ ეს არის რისკების სრული დაფარვა, მაგრამ არ ვიცით, ზუსტად რა თანხაზე ვსაუბრობთ, რა ვადაზე, რა მოდელის გარანტიაა. არის კიდევ სხვა პირობები, 8 პირობა არის ძირითადი, მაგრამ შედარებით მცირე 30 დამატებაზეა კიდევ საუბარი. ჩვენ ვართ ანაკლიის განვითარების კონსორციუმის პარტნიორი, ჩვენ ვართ პროექტის განხორციელებით დაინტერესებული მხარე, როგორც სახელმწიფო და ჩვენ უშუალოდ ჩავერთეთ მოლაპარაკებაში საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან, რათა მათ მიიღონ გადაწყვეტილება და მისცენ თანხა ანაკლიის განვითარების კონსორციუმს.“

მინისტრი ამბობს, რომ უკვე ამ ეტაპზე ელოდებიან უფრო ზუსტ პასუხებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან, თუ კონკრეტულად რა ფინანსურ, თუ სამართლებრივ მოთხოვნებს აყენებენ ისინი დამატებით სახელმწიფოს წინაშე. **„მოდით, ერთად შევაფასოთ, თუ რამდენად სწორი იქნება, რომ სახელმწიფო ამ პირობებზე დათანხმდეს“,** — ამბობს ვიცე-პრემიერი.

იუსტიციის მინისტრს პარლამენტში 21 მარტს მოუსმენენ

მომავალ **სასესიო კვირაში პარლამენტში იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს მოუსმენენ,** — ამის შესახებ დღევანდელ ბიუროს სხდომაზე გახდა ცნობილი, სადაც ირაკლი კობახიძემ ბიუროს წევრებს დღის წესრიგი გააცნო. თეა წულუკიანის მოსმენა საკანონმდებლო ორგანოში სავარაუდოდ, 21 მარტს გაიმართება.

ნარჩემაშვილმა უმრავლესობა დატოვა

კობა ნარჩემაშვილმა **საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა.** მისი თქმით, „საზოგადოებაში განცდაა, რომ საჭიროა მესამე პოლიტიკური ძალა“. ნარჩემაშვილი ამბობს, რომ ის არც ერთ გუნდს არ უერთდება.

„უმრავლესობა დავტოვე, მაგრამ ამ ეტაპზე არ ვუერთდები არც ერთ პოლიტიკურ ძალას, ჯერჯერობით ვაგრძელებ მუშაობას დამოუკიდებელ რეჟიმში, შემდეგ ვნახოთ. ჯერ გარკვეულ გადაჯგუფებაზე ჩემი მხრიდან საუბარი ნაადრევია“ — განაცხადა ნარჩემაშვილმა.

გერმანელი მეცნიერისადმი ცილისწამება ყიამყრალ ნაციონალებთან მიგვიყვანს!

რამდენიმე **დღის წინ ქართულ მედიასივრცეში გერმანელი ქართველოლოგის და კავკასიოლოგის, ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორის იოსტ გიპერტის სახელით გამოქვეყნდა ფაბრიცირებული ტექსტი, რომ ქართველი ერი კულტურულად არშემდგარი ერია, რომ იგი მონობისადმი არის მიდრეკილი და ა.შ. აღნიშნულ ფაქტს გამოეხმაურა თავად გერმანელი მეცნიერი და კატეგორიულად უარყო ეს ფაქტი. იოსტ გიპერტის სახელით გამოქვეყნებულმა გაყალბებულმა განცხადებამ ქართველ საზოგადოებაში აღშფოთება გამოიწვია, რის შედეგადაც ქართულ სოციალურ ქსელებში გაჩნდა გერმანელი ქართველოლოგის მიმართ გამოთქმული არაერთი უცენზურო გამონათქვამი, რაც შეურაცხმყოფელია არა მხოლოდ გერმანელი მეცნიერისათვის, არამედ მისი ქართველი კოლეგებისთვისაც.**

ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის პროფესორი, გერმანიაში მოღვაწე ქართველი მეცნიერი პროფესორი მანანა თანდაშვილის თქმით, იოსტ გიპერტი გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული აქტიურად თანამშრომლობს ქართველ მეცნიერებთან, მათ შორის: თამაზ გამყრელიძესთან, მზექალა შანიძესთან, ვახტანგ იმნაიშვილთან, ზურაბ სარჯველაძესთან, ზაზა ალექსიძესთან, დამანა მელიქიშვილთან, თედო უთურგაიძესთან, იზა ჩანტლაძესთან და სხვ. გერმანელი ქართველოლოგის მიერ ინიცირებული და განხორციელებულ იქნა 12 საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი ქართველოლოგიაში, რომელთა საერთო ღირებულება აღემატება 2,5 მილიონ ევროს და რომელშიც 300-მდე ქართველი მეცნიერი და დოქტორანტი იღებდა მონაწილეობას. იოსტ გიპერტი 40 წელზე მეტია, ემსახურება ქართველოლოგიის პოპულარიზაციის საქმეს. მან 80-იან წლებში წამოიწყო ქართული ხელნაწერებისა და გამოცემული ტექსტების გაციფრება და ქართველ კოლეგებთან ერთად ათწლეულების განმავლობაში ქმნიდა ქართული ენის ტექნოლოგიების შესაქმნელად აუცილებელ ელექტრონულ ბაზებს. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი გახლავთ ქართული ენის ეროვნული კორპუსის შექმნა, რამაც მყარი საფუძველი შეუქმნა საქართველოში კორპუსლინგვისტიკის განვითარებას და ქართული ენის ტექნოლოგიების შექმნას. პროფესორმა იოსტ გიპერტმა პროფ. მანანა თანდაშვილთან (ფრანკფურტის უნივერსიტეტი) და პროფ. რამაზ ხალვაშთან (ბათუმის უნივერსიტეტი) ერთად საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სრულიად ახალი სამეცნიერო მიმართულების — დიგიტალური ჰუმანიტარიის განვითარებას: იგი 2012 წლიდან აქტიურად მონაწილეობს დიგიტალური ჰუმანიტარიის პრობლემებისადმი მიძღვნილ ბათუმის საზაფხულო სკოლის მუშაობაში, რომელიც ყოველწლიურად ტარდება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში და რომელმაც 400-მდე ახალგაზრდა კადრი მოამზადა ახალი მიმართულების განსავითარებლად საქართველოში.

„იოსტ გიპერტს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეშიც. იგი აქტიურად იყო ჩაბმული ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს სტუმარი ქვეყნის წარდგენის პროგრამის მომზადებაში. მანანა თანდაშვილთან ერთად იყო გამომცემელი და რედაქტორი 11 ქართული წიგნისა, მათ შორისაა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირებული გამოცემა გერმანულად (ჰუგო ჰუპერტის თარგმანი), ხოლო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის დღეებში პავილიონის დიდ სცენაზე წარადგინა მოხსენება ქართული ანბანისა და დამწერლობის შესახებ, რომელშიც ჯეროვნად შეაფასა ქართული ანბანის უნიკალურობა და ისაუბრა ქართული ხელნაწერების მნიშვნელობის შესახებ.

პროფესორი იოსტ გიპერტი ქართველი ერისა და კულტურის დიდი მოამაგეა და 40 წელია, ემსახურება ევროპაში ქართული კულტურისა და მეცნიერების პოპულარიზაციას. ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ ჯეროვნად დააფასა მისი ღვაწლი და ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, 1996 წელს იგი აირჩიეს გელათის აკადემიის უცხოელ წევრად, სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად (1997 წ.). შემდგომ კი ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად (2009 წ.) და შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად (2013 წ.).

ამდენად, ცნობილი უცხოელი ქართველოლოგის, გერმანელი მეცნიერის პროფ. იოსტ გიპერტის მიმართ განხორციელებული ქმედება არის ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა, ჩრდილს აყენებს არა მხოლოდ მას, არამედ მთელ ქართულ მეცნიერებას და მოითხოვს სათანადო სამართლებრივ რეაგირებას. გერმანელი მეცნიერი სასამართლოში აპირებს ჩივილს მის შესახებ გავრცელებული ყალბი ინფორმაციის გამავრცელებლების წინააღმდეგ“, — აცხადებს მანანა თანდაშვილი.

ახალი სკანდალი უძველესი სამეფო გვარის თვითმარქვიებზე!



ნუგზარ და ანა ბაგრატიონ-გრუზინსკები დავით ბაგრატიონ-მუხრანელს სასამართლოში უჩივიან. „დედოფალი“ „მეფეს“ სასამართლოში უჩივის და თვალთმაქცობაში ადანაშაულებს. მომჩივანი მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის 1 ლარის გადახდას მოითხოვს. სასამართლო პროცესი საქალაქო სასამართლოში დღეს გაიმართება.

ბაგრატიონ-გრუზინსკების რწმუნებით, დავით ბაგრატიონ-მუხრანელი უნებართვოდ იყენებს დინასტიის ტიტულატურას, ყიდის სხვადასხვა ორდენს და ა. შ.

„2017 წლის მარტში მან რაღაც დონეზე მოახერხა ბრიტანეთის სამეფოში შეხვედრა, ბუნებრივია დედოფლის დონეზე არა, თუმცა ბრიტანეთის სამეფოში შეხვდნენ და მოხდა საქართველოს სამეფო სახლის სახელით ორდენის გადაცემა. ეს ორდენი არის ჯილდო, რომელიც შეიძლება კონკრეტული დამსახურებისთვის საქართველოს სამეფო სახლმა გადასცეს ვინმეს.

ამის შემდგომ ერთ-ერთი ავტორიტეტული გამოცემა „Daily Mail“-ის ჟურნალისტი უკავშირდება დავითს, ეცნობა როგორც ადგილობრივი ბიზნესმენი და სთხოვს,რომ მასაც აქვს სურვილი,რომ ეს ჯილდო მიიღოს. ასახელებს კონკრეტულ თანხას, რომლის სანაცვლოდაც ის არის მზად, რომ იგივე ჯილდო გადასცეს ნებისმიერ პირს, როგორი ჯილდოც მან გაუგზავნა ელისაბედ მეორეს. როდესაც ეს თანხის სანაცვლოდ ხდება ჩრდილი ადგება ნამდვილ სამეფო ოჯახს, რადგან სამეფო ჯილდოების გადაცემა არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე ვინ რამდენ თანხას გადაიხდის,“ — აცხადებს ნუგზარ და ანა ბაგრატიონ-გრუზინსკების ადვოკატი ლევან გორელაშვილი.

მოსარჩელე მხარე ითხოვს, რომ სასამართლომ დავით ბაგრატიონ-მუხრანელს სამეფო სახლის სახელის გამოყენება აუკრძალოს.

„დამფუძნებელი დედები“ — ქალები პირველი რესპუბლიკიდან

არასრული სამწლიანი არსებობის მანძილზე, საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ „ევროპის გაოცება“ ნამდვილად შეძლო.

დემოკრატიის 1028 დღე — ქალთა საარჩევნო უფლებები

ქართული დემოკრატიის 1028 დღე, ცივილური სამყაროს პოლიტიკურ ისტორიაში, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. კონკრეტული პარამეტრით, საქართველო რიგით მერვე ქვეყანა იყო, სადაც ქალთა საარჩევნო უფლებები სრულად იყო გარანტირებული. ეს იმხანად არსებული საგარეო და საშინაო პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისების გათვალისწინებით, პირველი რესპუბლიკის მიერ გადადგმული მნიშვნელოვანი პოლტიკური ნაბიჯი იყო.

1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა კანონი — „დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“, რომელიც 10 თავისა და 119 მუხლისგან შედგებოდა.

თავი I, საერთო დებულება

„დამფუძნებელ კრებას შეადგენენ წევრები, არჩეული მცხოვრებთა მიერ საყოველთაო — **განურჩევლად სქესისა,** — თანასწორის, პირდაპირის და ფარულის ხმის მიცემით პროპორციული წარმომადგენლობის წესისამებრ.“

თავი II, მუხლი 3

„დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს რესპუბლიკის **ორივე სქესის** მოქალაქეთ, თუ არჩევნების დღისთვის ოცი წელი შესრულებიათ.“

საბოლოო ჯამში არჩევნებში 26 ქალი კანდიდატი მონაწილეობდა, მათგან ხუთი, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრი გახდა: ქრისტინე შარაშიძე, ელეონარა ტერ-ფარსეგოვა მახვილაძე, ანა სოლოღაშვილი, ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე და მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე.

„ხმა ქართველი ქალისა!“

ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა საქართველოში, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე იწყება. იქმნება ქალთა გაერთიანებები, გამოიცემა გაზეთები და მასში განთავსებული პუბლიკაციებით, ქალები აქტიურად ერთვებიან საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მკაცრად და მტკიცედ ითხოვენ თანასწორობას.

„თანასწორობა სქესთა წინაშე კანონისა“ — ამ მოწოდებით, „ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატულო“ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ 1917-18 წლებში ქუთაისში გამოიცემოდა (გაზეთის მთავარი რედაქტორი — **კატო მიქელაძე**).

დომინიკა ერისთავი (განდეგილი) იყო „ქართველ ქალთა ორგანიზაციის“ დამაარსებელი და თავმჯდომარე — „ქართველი ჟორჟ სანდი“.

მინადორა ორჯონიკიძე — ტოროშელიძე — ერთ-ერთი პირველი ქალი კანონმდებელთა შორის. მინადორა დამფუძნებელთა კრების პრეზიდიუმის მდივანი და პარლამენტის წევრი იყო. რუსული ოკუპაციის შემდეგ, ანტისაბჭოური საქმიანობის პარალელურად, გარკვეული პერიოდი, ამერიკულ ორგანიზაცია „American Reilef Administration“-ში მუშაობდა.

19 წლის მოწყალების და **მარო მაყაშვილი** — საბჭოთა რუსულ ჯარებთან ბრძოლაში, თბილისის მისადგომებთან დაიღუპა. მისი დღიურები განსაკუთრებით საინტერესოა და იმ პერიოდის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას იტევს.

რა თქმა უნდა, ეს მცირედი ჩამონათვალია იმ ქალებისა, რომლებმაც, საუკუნის წინათ, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მშენებლობაში, სამოქალაქო აქტივობით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. მათი მოღვაწეობის შესაფასებლად, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ისინი რესპუბლიკის „დამფუძნებელი დედები“ არიან, რესპუბლიკის, რომელმაც მხოლოდ 1082 დღე იარსება.

ქართლოს შარაშენიძე,
საბა გუჯაბიძე

სოსო არჩვაძე: ბევრი უცხოელი ინვესტორი დღეს აღრიცხულია როგორც ადგილობრივი მეწარმე!

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემს ექსპერტები ეხმაურებიან. ეკონომიკის ექსპერტ **სოსო არჩვაძის** განცხადებით, მართალია 2018 წელს ინვესტიციების მოცულობა შემცირდა, მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ გარე და შიდა ფაქტორები. გარე ფაქტორებიდან უნდა გამოვყოთ ძვირი დოლარის პოლიტიკა, საინვესტიციო გარემოს გაურესება მსოფლის მრავალ ქვეყანაში და ქვეყნებს შორის ჯანსაღი კონკურენციის ზრდა. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ კიდევ უფრო მეტი ძალისხმება დაგვჭირდება რათა ქვეყანაში საგადამხედელო ბალანსი დადებითი იყოს.

ამასთან, ექსპერტი აცხადებს რომ **ბევრი უცხოელი ინვესტორი, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოსთან თანამშრომლობდა, შემოვიდა როგორც უცხოელი ინვესტორი და შემდეგ ფაქტობრივად დარეგსტრირდა როგორც ადგილობრივი მეწარმე. მათ კომპანიებში მიიღეს საკონტროლო პაკეტი. შედეგად, რაც წლების განმავლობაში უცხოურ ინვესტიციად ითვლებოდა, დღეს აღირიცხა როგორც შიდა ინვესტიცია.**

ამ ფონზე, ჩვენი ეკონომიკა მაინც შთამბეჭდავი პროცენტით გაიზარდა, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი ეკონომიკა მყარად დგას ფეხზე და ამას დანახვა და აღიარება უნდა. ჩვენ ადრე დამოკიდებული ვიყავით სხვადასხვა სახის უცხოურ დახმარებებზე — ჰუმანიტარული იქნებოდა, ტექნიკური თუ სხვა, მაგრამ დღეს ქვეყანას აქვს იმხელა პოტენციალი რომ საგარეო დახმარების შემცირების ფონზეც კი იქონიოს ეკონომიკის ზრდის მზარდი პოტენციალი. მთლიანობაში ქვეყანაში ადგილი აქვს ეკონომიკის ზრდასაც, ინვესტიციების ზრდასაც და საქართველოს ხელისუფლება აკეთებს ყველაფერს, რომ მიმზიდველი საინვესტიციო გარემო შეუქმნას ინვესტორებს და ეკონომიკის ზრდის კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებელი დადასტურდეს“, — აცხადებს სოსო არჩვაძე.

ჯეფრი საქსი: ყველას სურს, ეწვიოს ამ ლამაზ ქვეყანას!

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეები ლაშა მიქავა და ეკატერინე მიქაბაძე მსოფლიოში ცნობილ ამერიკელ ეკონომისტ ჯეფრი საქსს შეხვდნენ. შეხვედრა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გაიმართა და მას ასევე ესწრებოდნენ ფინანსთა მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ გაგუა და ეკონომიკის მინისტრის მრჩეველი ჟან ფრედერიკ პოლსენი.

ჯეფრი საქსი თბილისში 3-დღიანი ვიზიტით იმყოფება. იგი გახლავთ ეკონომიკის ცნობილი პროფესორი, ბესტსელერების ავტორი, ინოვაციური პედაგოგი და მდგრადი განვითარების გლობალური ლიდერი. ჯეფრი საქსი გაეროს მდგრადი განვითარების გადაწყვეტილებების ქსელის დირექტორია, გაეროს განვითარების გაფართოებული კომისიის კომისარი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ანტონიო გუტიერასის მრჩეველია მდგრადი განვითარების მიზნების საკითხებში. 2001-2018 წლებში მას გაეროს გენერალური მდივნების კოფი ანანის, პან გი მუნის და ანტონიო გუტიერასის სპეციალური მრჩევლის პოზიცია ეკავა. ამასთან, პროფესორი საქსი კოლუმბიის უნივერსიტეტის მდგრადი განვითარების ცენტრის დირექტორია. 2002-2016 წლებში იყო დედამიწის ინსტიტუტის (Earth 6nstitute) — დირექტორი.

ცნობილი ეკონომისტის განცხადებით, საქართველოში მისი ვიზიტის ძირითადი მიზანი და ინტერესი მწვანე ეკონომიკა-მდგრადი განვითარების საკითხებია. **„საქართველო შესანიშნავი ქვეყანაა დიდი კულტურით. მთელი მსოფლიოს მასშტაბით ადამიანებს სურთ, ეწვიონ ტურისტულად ამ ლამაზ ქვეყანას. ამ მიმართულებით არსებობს ბევრი შესაძლებლობა ეკონომიკური განვითარებისა და ამ განვითარებით მიღებული სარგებლის ქვეყნის მოსახლეობაში განაწილებისათვის. ასევე მნიშვნელოვანია ჰაერის სისუფთავე, სუფთა ენერგიის წარმოება და ისეთი ავტომობილის მართვა, რომლებიც არ აბინძურებს ჰაერს. ეს ის საკითხებია, რომლებიც მთავრობასთან შეხვედრისას განვიხილეთ“** — აღნიშნა საქსმა.

დენი აფხაზეთისთვის: ეს არ არის ბიუჯეტის ფლანგვა!

სეპარატისტული აფხაზეთის გამუდმებულმა უფასო ელექტრომომარაგებამ უკვე ყოველგვარ დასაშვებ ზღვარს გადააბიჯა. ფაქტობრივად, ქართული მხარე უფასოდ აწვდის ელექტროენერგიას აფხაზეთს. ასე ხდება წლების განმავლობაში, როცა საქმე ეხება ენგურჰესის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას, მაგრამ ახლა უკვე საქმე იქამდეც მივიდა, რომ საქართველო თავისი ნებით ყიდულობს რუსეთისგან დენს და უფასოდ აწვდის სეპარატისტულ რეგიონს.

თუკი ვითარება ენგურჰესის ირგვლივ მეტ-ნაკლებად გასაგებია ერთიანი ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე, რუსული იმპორტის დაფინანსება საერთოდ გაუგებარია – რატომ არის საქართველოს ხელისუფლება ვალდებული, მოახდინოს მტრული ტერიტორიული წარმონაქმნის სუბსიდირება?

შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი საქართველოს ხელისუფლების მიერ ოკუპირებული აფხაზეთისთვის ელექტროენერგიის რუსეთში შეძენას თავისებურად ხსნის.

„არ ვეთანხმები საზოგადოების იმ ნაწილს, ვისაც ეს ფუჭ ხარჯად მიაჩნია, რადგან აფხაზეთი არის საქართველოს ნაწილი. ჩვენ ყველგან მოვითხოვთ, რომ მუდმივად აღიარებულ იქნას, დადასტურებული იყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ეს არის სწორედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რეალიზაცია. საქართველო თავის მოსახლეობას არ ტოვებს კრიტიკულ სიტუაციაში ელექტროენერგიის გარეშე“, – აცხადებს ზაქარეიშვილი.

მისი აზრით, აფხაზეთთან შემორჩენილი ურთიერთობა აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ, ამ შემთხვევაში კი ელექტროენერგია გარკვეულ მაკავშირებლად გვევლინება. ამიტომაც მნიშვნელობას კარგავს საუბარი იმაზე, თუ როგორ აღიქვამს ამას საზოგადოება – ნეგატიურად თუ პოზიტიურად, რადგან მთავარი საქართველოს მთლიანობაა.

„სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ბმები დაგვრჩა ჩვენ აფხაზეთთან. ამ შემთხვევაში ელექტროენერგია ყველაზე მკაფიო მაგალითია. ჩვენ თუ ეს ბმა გავწყვიტეთ, ერთი-ორი წელი მათ გაუჭირდებათ, მაგრამ შემდეგ უკვე რუსები შეიტანენ მუდმივად დენს და კიდევ უფრო მეტად იქნება აფხაზეთი დაშორებული საქართველოსგან“, – ამბობს ზაქარეიშვილი.

ცნობისთვის, საქართველოს ხელისუფლებამ წელს კიდევ ერთხელ შეიძინა რუსული კომპანია „ინტერ რაოსაგან“ 45 მილიონი კვტ/საათი ელექტროენერგია, რომელიც რუსებმა ოკუპირებულ აფხაზეთს უნდა მიაწოდონ. ეკონომიკის მინისტრის მოადგილის ნათია თურნავას ინფორმაციით, კონტრაქტის ღირებულება 315 ათასი დოლარია.

თავად აფხაზეთში სხვაგვარად ფიქრობენ და საერთოდაც, ამტკიცებენ, რომ თბილისი არაფერს არ იხდის და რუსეთიდან მიწოდებული დენის საფასურს თავად აფხაზები ფარავენ. კერძოდ, ამის შესახებ არაღიარებული რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ჯანსუღ ნანბამ.

„27 თებერვლიდან მოიხსნა ენერგომომარაგებაში შემოღებული დროებითი შეზღუდვები. ჩვენ შევთანხმდით ენერგიის გადადინებაზე რუსეთის ფედერაციიდან, თუმცა დადგა საკითხი – ვინ გადაიხდის ფულს ამისთვის?“ – დასვა კითხვა ნანბამ და თავად უპასუხა, რომ ამ საკითხის დარეგულირება მოხდა 2016 წლის მთავრობათაშორისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

„2016 წელს მთავრობათაშორისმა კომისიამ განსაზღვრა ენერგომომარაგების ანაზღაურების წესი – მაშინაც ჩვენ მივიღეთ ენერგიის ნაწილი რუსეთიდან და მაშინაც დადგა მისი საფასურის გადახდის საკითხი. შევთანხმდით, რომ რუსეთი გამოყოფს საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში 221 მლნ რუბლს, რომელიც წავა შემოტანილი ელექტროენერგიის ანაზღაურებაზე“, – განაცხადა ნანბამ.

ფინანსთა მინისტრის თქმით, გადახდის ასეთი მეთოდი გამოყენებულ იქნა ასევე 2017 წელს, როდესაც ამავე მიზნებით საინვესტიციო პროგრამაში გათვალისწინებულ იქნა 550 მლნ რუბლი. გამოდის, რომ რუსული ენერგიის ანაზღაურება ხდება რუსულივე ფულით.

„2018 წელს ჩვენ არ მიგვიღია ელექტროენერგია რუსეთიდან, მაგრამ ამავე დროს, ჩვენ ვიცოდით, რომ 2019 წლის ზამთარში მოსალოდნელი იყო ენერგომომარაგების პრობლემები, ამიტომაც, მე გავუგზავნე რუსეთის ვიცე-პრემიერ ვიტალი მუტკოს თხოვნა, რომ 2019 წელს მოხმარებული ენერგიის საფასური გათვალისწინებულ იქნას 2020 წლის ინვესტპროგრამაში, ანუ ჩვენ ვიხდით ჩვენს მიერ მოხმარებული ენერგიის საფასურს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ქართულ მხარეზე ამ საკითხში ძალიან ბევრი სპეკულაციაა, განსაკუთრებით კი მასმედიაში“, – განაცხადა ნანბამ.

ბექა დანელია

ცხინვალის თეატრს ახალი შენობა გადაეცა

საქართველოს **განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს 1746 კვ. მ. ფართი გადასცა, რომელიც პეტრიაშვილის 7 ნომერში მდებარეობს.**

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით 11 მარტს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართა. ღონისძიებას მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი, მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ გიორგაძე და სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი შენგელია უძღვებოდნენ. პრესკონფერენციას ცხინვალის თეატრის დასის წევრები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

მიხეილ ბატიაშვილმა სიტყვით გამოსვლისას ცხინვალის თეატრის დასის წევრებს ახალი შენობის გადაცემა მიულოცა და აღნიშნა, რომ სამინისტრომ მრავალწლიანი ინფრასტრუქტურული პრობლემის მოგვარებით თეატრს სრულფასოვანი პროფესიული საქმინობის განხორციელების საშუალება მისცა.

ინვესტიცია: ვინ მეტი, ვინ ნაკლები?!

სტატისტიკის **ეროვნული სამსახური იმ კომპანიების სიას აქვეყნებს, რომლებმაც 2018 წელს საქართველოში ყველაზე დიდი მოცულობის ინვესტიცია განახორციელეს.**

- აზერბაიჯანი – 240,007,092 დოლარი;
- გაერთიანებული სამეფო – 203,670,839 დოლარი;
- ნიდერლანდი – 167,854,161 დოლარი;
- აშშ – 103,673,364 დოლარი;
- პანამა – 74,735,061 დოლარი;
- ჩეხეთი – 72,338,511 დოლარი;
- ჩინეთი – 65,400,788 დოლარი;
- სამხრეთ კორეა – 63,237,737 დოლარი;
- რუსეთი – 60,063,426 დოლარი;
- ლუქსემბურგი – 48,445,017 დოლარი;
- გერმანია – 42,131,237 დოლარი;
- მალტა – 36,723,901 დოლარი;
- საფრანგეთი – 26,312,702 დოლარი;
- არაბეთის გაერთიანებული ემირატები – 20,370,179 დოლარი;
- უკრაინა – 18,501,841 დოლარი;
- დანია – 15,303,593 დოლარი;
- ავსტრია – 14,494,152 დოლარი;
- შვეიცარია – 10,901,424 დოლარი;
- სომხეთი – 673,111 დოლარი;
- ბულგარეთი – 8,991,412 დოლარი.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების სიაში ოფშორული ზონაც (პანამა) შედის. ოფშორული ზონებიდან ინვესტიციების გარკვეული ნაწილი თავისი არსით ქართული კომპანიების მიერ ან ქართველი ბიზნესმენების მიერ საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებს წარმოადგენს.

ჰაააგის ერთ-ერთ უბანში ტროტუარზე ქართული ანდაზა ამოტვიფრეს

ნიდერლანდებში **საქართველოს საელჩოსთან თანამშრომლობის შედეგად, ჰაააგის ერთ-ერთ უბანში, ახლად გახსნილი გზის ტროტუარზე ქართული ანდაზა – „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო“ ამოტვიფრეს.**

აღსანიშნავია, რომ ლაიდენის უნივერსიტეტის ლინგვისტიკის პროფესორმა ინგრიდ ტიეკენ-ბუნ ვან ოსტადემ 33 ენაზე 33 წარწერა შეაგროვა, რათა ახლად გახსნილი გზის ტროტუარზე ყველა იმ ენაზე ყოფილიყო წარწერა, რომელიც ჰაააგში – ერთ-ერთ ყველაზე ინტერნაციონალურ ქალაქში ისმის. **ასე მოხვდა ქართული ანდაზა ჰაააგის ცენტრალურ უბანში. ინგრიდ ტიეკენ-ბუნ ვან ოსტადეს იდეა მოიწონეს ქალაქის მერიაში და ერთწლიანი სამუშაოების შემდეგ, პროექტი საზეიმო ვითარებაში ფართო საზოგადოებას წარუდგინეს.**

ᲣᲪᲜᲝᲑᲘ „ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲔᲚᲘ ᲑᲔᲒᲘᲡ“ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ᲫᲐᲠᲗᲣᲚ პრესაში გამოქვეყნდა "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი", რომელსაც ხელს აწერს 100-მდე ქართველი მამულიშვილი, მათ შორის არიან ცნობილი საზოგადო მოღვაწე ჰაიდარ აბაშიძე და ყადირ შერვაშიძე.

ჰაიდარ აბაშიძეს კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი, მის შესახებ ბევრჯერ დაიწერა ქართულ გაზეთებში, გამოიცა რამდენიმე მონოგრაფიაც.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ჰაიდარ აბაშიძის ორ უცნობ წერილს, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ერთი წლით ადრე დაიწერა და ბათუმისა და ჭიათურის მუშების მდგომარეობას ეხება.

გაზეთ „თანამეროვე აზრის“ 1916 წლის 5 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულია წერილი, რომელიც ბათუმის დეპოს მუშებისა და ბათუმელი მედროგეების შრომისა და ყოფა-ცხოვრების მძიმე პირობებს ეხება. ანალოგიურია ამავე გაზეთის 1917 წლის 21 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული მასალა, რომელშიც ტყიბულის მუშათა მდგომარეობაა აღწერილი.

ორივე წერილი გადმოვბეჭდე „საისტორიო მოამბის“ 1978 წ. (გვ. 117-218) და 1977 წლის (გვ. 422-424) გამოცემებიდან.

წერილებს ხელს აწერს „ტყიბულელი ბეგი“. სამწუხაროდ, მისი ვინაობა არ არის გაშიფრული არც „საისტორიო მოამბეში“ და არც ფსევდონიმებისადმი მიძღვნილ სპეციალურ ლიტერატურაში.

ჩვენი აზრით, ამ წერილების ავტორი უნდა იყოს ცნობილი პუბლიცისტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ჰაიდარ აბაშიძე.

ჰ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔᲛ ბათუმის სკოლის დამთავრებისა და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისთანავე (1913 წ) სიტყვით და კალმით მწვავე ბრძოლა გააჩაღა პანთურქიზმისა და პანისლამიზმის წინააღმდეგ, იგი მოსახლეობაში აღვივებდა ეროვნულ თვითშეგნებას, იბრძოდა აჭარაში ქართული სკოლების გახსნის, მოსახლეობაში განათლებისა და კულტურის აღორძინებისთვის, „მოითხოვდა მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას და გლეხებისათვის მიწის უსასყიდლოდ გადაცემას“ (ქსე).

ამ საკითხებზე ჰ. აბაშიძემ წერილები გამოაქვეყნა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „თეატრი და ცხოვრება“, „ბათუმის გაზეთი“, „სახალხო გაზეთი“, „სამშობლო“, „სახალხო ფურცელი“, „საქართველო“, „ცხოვრება“, „ერთობა“, „განახლებული მესხეთი“. ეს წერილები შეკრიბა და კომენტარებითა და შენიშვნებით 1963 წ გამოაქვეყნა ისტორიკოსმა ხ. ახვლედიანმა. მათგან არც ერთი წერილი არ ეხება მუშათა მდგომარეობას, მაგრამ ყველაში გამოთქმულია პროტესტი არსებული წყობილებისა და პანისლამისტების წინააღმდეგ, რის გამოც 1916 წელს ჰ. აბაშიძე ბათუმის საქალაქო სკოლის მასწავლებლობიდან დაითხოვეს და ქალაქიდან გაასახლეს. „ჩემი ასეთი მოღვაწეობა არ მოსწონებიათ ხოჯა-მოლებს, რეაქციონერებს და მეფის ბობოლა მოხელეებთან დაბეზღებით მიაღწიეს, რომ 1916 წელს გამათავისუფლეს მასწავლებლობიდან, ხოლო შემდეგ ბათუმის სამხედრო კომენდანტის ბრძანებით აჭარიდან გამასახლეს. საცხოვრებლად გადავედი ჭიათურაში, სადაც დავყავი თებერვლის რევოლუციამდე“, - წერს იგი ავტობიოგრაფიულ წერილში „ცოტა რამ აჭარაში ჩემს მოღვაწეობაზე“.

ჭიათურაში ჰ. აბაშიძის წასვლა შემთხვევითი არაა. მისი მეუღლე მარგალიტა ყაფლანის ასული წერეთელი ჭიათურიდან იყო და ჰაიდარმაც დევნის დროს სწორედ ამ ქალაქს მიაშურა.

ჩვენი ვარაუდით ჰ. აბაშიძეს ბათუმის მუშათა მდგომარეობაზე წერილი მომზადებული ჰქონდა ჭიათურაში წასვლამდე, მარამ მისი „თანამედროვე აზრის“ რედაქციაში მიტანა ვერ მოასწრო. იგი ჭიათურიდან გაგზავნა. გარდა ამისა, აქ ყოფნის დროს გაეცნო ტყიბულის მუშათა მდგომარეობასაც, მოამზადა კორესპონდენცია და გაუგზავნა გაზეთს. ორივე წერილის ავტორად გამოაცხადა „ტყიბულელი ბეგი“.

ამ წერილების დაწერა ობიექტური მიზეზებით იყო განპირობებული. საქმე ის არის, რომ 1916 წლის თებერვალ-მარტში ბათუმის პიტოევის სამხედრო ქარხნისა და ტანსაცმლის მკერავთა არტელის მუშებმა ადმინისტრაციას მოსთხოვეს შრომის პირობების გაუმჯობესება და ხელფასის მომატება. მუშათა მღელვარება ქალაქის სხვა საწარმოებს, კერძოდ, ქალაქის დეპოს და მედროგეთა არტელსაც მოედო.

ანალოგიური და უფრო მძიმე მდგომარეობა შეიქმნა 1917 წლის დამდეგს ტყიბულის ქვანახშირის მაღაროში. აქ მუშებმა მოაწყვეს კარგად ორგანიზებული გაფიცვა, ისინი მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას. გაფიცვა ნახევარ თვეს - 16 იანვრიდან 1 თებერვლამდე გრძელდებოდა.

სწორედ მუშათა ამ სერიოზულ მოძრაობას გამოეხმაურა მოწინავე საზოგადოებრიობა და ქართული პრესა.

საყურადღებოა, რომ ორივე წერილი გაზეთ „თანამედროვე აზრში“ გამოქვეყნებულია სწორედ იმ პერიოდში, როცა ჰ. აბაშიძე ჭიათურაში იყო. ხოლო მას შემდეგ, რაც ის ბატუმში დაბრუნდა (1917 წ. თებერვალი), ამ ფსევდონიმით წერილი აღარ გამოქვეყნებულა.

ჩვენს აზრს განამტკიცებს აგრეთვე თვით ფსევდონიმიც - „ტყიბულელი ბეგი“, აკი ჰ. აბაშიძე სანჯაყ-ბეგების უშუალო შთამომავალი იყო.

ადრე ჰ. აბაშიძის ფსევდონიმები იყო „მაჰმადიანი ქართველი“ და „ქართველი მუსლიმანი“. ამ ფსევდონიმებს ცენზურა იცნობდა. ამიტომ მათი შეცვლა აუცილებელი იყო. ბათუმიდან გასახლებული, ხელისუფლებისთვის არაკეთილსაიმედო პიროვნების წერილს იგი არ გაუშვებდა.

ᲕᲤᲘᲫᲠᲝᲑᲗ, ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲐᲠ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲐ.

* * *

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ დეპოში მუშაობს დაახლოებით 40 კაცი და ქალი. მამაკაცები ღებულობენ დღეში 75 კ. ხოლო ქალები 60 კაპ.ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა იცხოვროს მუშამ დღევანდელი სიძვირის დროს 18-20 მანეთად თვეში, მით უმეტეს, რომ ზოგი მათგანი ოჯახის პატრონია. სამუშაო დღე გრძელდება დილის ხუთის ნახევრიდან ნაშუაღამევის სამ საათამდე. არავითარი კავშირი, არავითარი სურვილი ერთად მოქმედებისა მათში არ არსებობს. გაზეთის კითხვა და სერიოზული კამათი საჭირბოროტო კითხვაზე, მათთან შეუძლებელია. მუშა ქალებსა და კაცებს შორის დამოკიდებულება ყოვლად შეუძლებელია. მამაკაცები უცქერიან მუშა ქალებს არა როგორც ამხანაგებს, რომლებიც ლუკმა პურისთვის ოფლში იწურებიან მათთან ერთად, არამედ როგორც საარშიყო და სათამაშო საგანს.

საკვირველ ამბავს გადმოგვცემენ ბათუმის ქალაქის თვითმმართველობის მედროგეების ცხოვრებიდან. თვითმმართველობის აგენტის ბ. იმედაშვილის მუშებისადმი მოპყრობა თურმე ყოველგვარ საზღვარს სცილდება.

ეს ვაჟბატონი თურმე ქართული გაზეთის კითხვასაც უკრძალავს მუშებს. დაუნახავს თუ არა მუშას ხელში გაზეთს, ეცემა, გამოგლეჯს ხელიდან და სამსახურიდან დათხოვნიტ ემუქრება. თუ რაიმე ცნობა მის შესახებ გაზეთში წაიკითხა ყოვლად შეუძლებელია, რომ ერთი ან ორი მუშა არ დაითხოვოს სამსახურიდან. მუშები იმდენად შეშინებულები ყავს, რომ ასე გასინჯეთ თვით მუშები ღებულობენ ზომებს მათ შესახებ გაზეთში არაფერი დაიწეროს. სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ მუშების ბინა (რაიც მათ უფასოდ ეძლევათ) ყოველგვარ უსუფთაობისა და სიბინძურის ბუდეს წარმოადგენს. როდესაც ამასწინათ ხმოსანმა ტ. ჩხაიძემ, როგორც ქალაქის სასანიტარო მზრუნველმა, მიაქცია ბ. იმედაშვილის ყურადღება ამ გარემოებას, ბ. იმედაშვილმა მორთო ერთი ღრიალი: „ვინ გითხრა მაგი შენ, საიდან გაიგე, წავალ და ახლავე დავითხოვ სამსახურიდან იმას, ვიცი, ვინც გეტყოდაო“.

ბ. ტ. ჩხაიძემ უმტკიცა, რომ მისთვის ეს კი არავის უთქვამს, არამედ თვითონ დაათვალიერა მუშების ბინა და თავისი თალით ნახა ის აუტანელი პირობები, რომელშიც უხდებათ მუშებს ცხოვრება. ამის შესახებ ხსენებულმა ხმოსანმა მგონი თვითმმართველობაშიც შეიტანა განცხადება. ბ. იმედაშვილი კი წავიდა მუქარით, რომ ერთი ვინმე უნდა დაეთხოვა სამსახურიდან. სანამ ქალაქის თვითმმართველობა მოსამსახურეების ჯამაგირს გაუდიდებდა (სიძვირის გამო) იმ მუშებს, რომლებიც არ მოისურვებდნენ ზემოხსენებულ ბინებში ცხოვრებას და კერძო ბინაზე გადავიდოდნენ, ეძლეოდათ 2 მანეთი,)ბინის ფულად“. ჯამაგირის მომატების შემდეგ ეს წესი შესცვალეს. ეხლა პირდაპირ აიძულებენ მუშებს იცხოვრონ ქალაქის შენობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში იმ ორ მანეთს აღარ აძლევენ, ამნაირად ოფიციალურად თითქო მიუმატეს მუშებს ჯამაგირი 25 პროც., ნამდვილად კი დაბერებული და დაჩაჩანაკებული იმედაშვილის წყალობით მუშებს უარეს პირობებში აყენებს. საჭიროა ქალაქის გამგეობამ მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას.

წაიკითხავს თუ არა ბ. იმედაშვილი ამ წერილს, ეცემა მუშებს და მოსთხოვს ავტორის გაცემას. აქედანვე ვაცხადებ, რომ მუშებს ამ წერილში წილი არ უდევს. არც იციან, რომ წერილი იწერება. და თუ ბ. იმედაშვილმა მაინც თავისებურ ზომებს მიმართა და ვინმე დაითხოვა სამსახურიდან, მაშინ კითხვა მის შესახებ ქალაქის თვითმმართველობის საერთო კრებაზე დაისმება.

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲔᲚᲘ ᲑᲔᲒᲘ

გაზ. „თანამედროვე აზრი“
3 77, 1916 წელი 5 აპრილი.

* * *

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ომის მეოხებით მუშათა ქონებრივი მდგომარეობა წარმოუდგენელი შეიქმნა. კაპიტალისტები ამ „ოქროს“ ხანაში თვის უძირო ჯიბეში ხუთჯერ და ათჯერ მეტ სიმდიდრეს იყრიან, ვინემ ოდესმე და მუშებს კი ჩალის ფასად ამუშავებენ. პირველ უსაჭიროესი საგნები დღითი-დღე იზრდება და მუშათა ხელფასი კი არა. ერთ ამისთანა წარმოებათგანია ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები. რადგან აქაური მუშები ძლიერ ცუდ პირობებში იყვნენ, ამიტომ მათ 11 იანვარს წარუდგინეს ხაზეინებს შემდეგი ეკონომიკური მოთხოვნილება.

1) ხაზეინებს კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ ომის გამო ცხოვრება საზღაპროდ გაძვირდა და პირველ უსაჭიროეს საგნებზე ფასმა რამოდენიმე ათეული პროცენტით მოიმატა. წუღას, რომელიც ჩვენთვის პირველ უსაჭიროეს საგანს წარმოადგენს, 15-18 მანეთ ნაკლებ ვერ ვყიდულობ, ე.ი. მოიმატა ექვსჯერ მეტი, ხოლო ამავე დროს ჩვენს ხელფასს კი ერთი იმდენიც კი არ მომატებია, რასაც ომამდე ვღებულობდით. ამისათვის ჩვენ მოვითხოვთ, რომ თითოეულ მუშას, დღიურს და თვიურ დაბალ მოსამსახურეებს მოემატოს თავის დღიურ ქირაზე 1 მან. 50 კაპ., რომ ამით ცოტა მაინც შევიმსუბუქოთ ჩვენი აუტანელი ცხოვრება.

2) ბენზინის ფული, რომლის გამოქვითვა დაიწყეთ ეს რამდენიმე თვეა კანტორის დაქირავებულ მუშებზე, უნდა მოისპოს, რადგან მათ ამის გადახდა არ ეკუთვნით და არც იხდიდნენ უწინ.

3) მოულოდნელ შემთხვევათა გამო მუშა რომ ერთ დღეს გაცდენს, არ უნდა ჯარიმდებოდეს.

4) გახსნილი იქნას ის სამკითხველო, რომელიც 1913 წელს ხელშეკრულების ძალით მოვიპოვეთ და რაღაც მიზეზების გამო დახურეთ.

5) იმ ათ ვაგონს, რომელსაც თქვენ თვლით სტრატეგიულ გზებისათვის და სამხედრო უწყებისათვის არის ძლიერ საჭირო, ჩვენ ვკისრულობთ მათ დატვირთვას ყოველ კვირა-უქმე, გარდა აღდგომისა და სხვა დიდ უქმეებს გარდა შემდეგის პირობით: ვაგონების დატვირთვა უნდა ხდებოდეს მორიგეობით „სარტიროვკას“, კარიერის და მაღაროში მომუშავეთა მუშების მიერ. მუშას ერთი დღის ნამუშევარი უნდა დაეწეროს ორ დღედ, ტვირთვა უნდა ხდებოდეს საწყობიდან და სხვა მუშაობა არ უნდა სწარმოებდეს.

6) ფული უნდა რიგდებოდეს ყოველ მეორე თვის თხუთმეტში. აგრეთვე უნდა დაინიშნოს სპეციალურად კაცი ფულის წიგნაკების და „კონტრამარკების“ დასარიგებლად, რომ დაღლილ-დაქანცულ მუშას არ უხდებოდეს ცდა რამოდენიმე საათს.

მუშებმა ეს მოთხოვნილება წარუდგინეს ხაზეინებსა და მისცეს ორი კვირის ვადა. მეორე დღეს აქ შემთხვევით ჩამოვიდა სამხედრო ინჟინერი, რამოდენიმე სხვა სამხედრო პირი და აგრეთვე დირექტორი ცოვიანოვი. სამხედრო ინჟინერმა დაიბარა მუშები და უთხრა, რომ მეხუთე მუხლის მოთხოვნილებას ვცვლი შემდეგნაირად: ყოველ კვირა დღეს თავისუფალი იქნებით, მხოლოდ დანარჩენი უქმეები უნდა იმუშაოთ, დაგეწერებათ ერთ დღეში ორი დღე და დანარჩენი მომატება არ გააჩეროთ, თორემ სხვა ზომებს ვიხმართ, მუშები უქმე დღეებში მუშაობაზე დასთანხმდნენ და მუშაობის შეჩერების შესახებ არაფერი უთხრეს. ცოვიანოვმა თავის მომატებაზე უარი სთქვა, მუშები წამოვიდნენ და განაგრძეს მუშაობა. გავიდა ორი კვირა და წინადღით ქვანახშირის მაღაროს გამგემ დაიბარა მუშათა დეპუტაცია და განუცხადა: არაფრის მომატება არ შეგვიძლია. მეორე დღეს, 25 იანვარს მუშებმა მუშაობა შეწყვიტეს და წავიდნენ თავიანთ სახლში, აქ დასტოვეს რამოდენიმე მუშა ხაზეინთან მოსალაპარაკებლად. ეს კანტორამ იმ წამსვე ამცნო დეპეშით ქუთაისის გუბერნატორს და სამხედრო უწყებას. მუშებმაც თავის მხრივ ამცნეს თავისი მოთხოვნილებანი, აგრეთვე მუშებმა ორი დღის შემდეგ სთხოვეს დეპუტატ ჩხეიძეს დეპეშით დახმარება.

მეორე დღეს ამ საქმეზე მოვიდა ქუთაისის მაზრის უფროსი და სამთამადნო ინჟინერი ცეიტლინი. მაზრის უფროსი მალე დაბრუნდა და ცეიტლინმა დაიბარა მუშები და უთხრა, რომ მათ დაეწყოთ მუშაობა და ამავე დროს დაპირდა ვიშუამდგომლებ ხაზეინების წინაშე, მოგიმატონ თვიურად მუშებზე რვა მანეთიო. დანარჩენი მოთხოვნილებები, გარდა სამკითხველოსი, დააკმაყოფილა და სამკითხველოს შესახებ კი უთხრა, რომ გამოგიწერთ ორ ცალ გაზეთს და იკითხეთ „ყაზარმებში“, ხოლო ოთახს ვერ მოგცემთ, რადგან იქ დაიწყებთ სხვადასხვა საკითხებზე ლაპარაკს და გასოციალდემოკრატდებით.

ჩამოვიდა სამხედრო ინჟინერი, იმანაც იგივე განუმეორა მუშებს, როგორც დეპეშაში იყო ნათქვამი და თან დასძინა, მე ვიშუამდგომლებ მთავრობასთან, რომ ფეხზე ჩაგაცვან იმ პირებს, რომელთაც სამხედრო სამსახური გეხებათ და რომელიც ჯერ თავისუფალი არიან, მათთან მე საქმე არა მაქვსო. თავისუფლებს კი ქვანახშირის მაღაროს გამგემ უთხრა, რასაც მთავრობა მიუმატებს იმას ჩვენ მოგიმატებთო.

მუშებმა უპასუხეს — ჩვენ თქვენ მოცემულ წუღებს ვერ ვიხმართ, რადგან მძიმე და დიდი არის და მით ვერ ვიართ კლდე-ღრეში და მის მაგიერ ფულად მოგვიმატეთო. შემდეგ სამხედრო ინჟინერმა უთხრა, დადგენილებით ხვალ სამუშაოზე გავგზავნი დეპეშას, რომ მოგიმატონ ფულად და რამდენს მოგიმატებენ მე არ ვიცი.

მუშებმა უპასუხეს — ხვალიდან გავალთ სამუშაოზე იმ შემთხვევაში, თუ 40 კ. მოგვიმატებთო და მისცეს 4 დღის ვადა. 1 თებერვალს მუშაობა დაიწყეს. შაბატს, 4 თებერვალს დაიბარეს მუშათა კომისია და განუცხადა მუშებს ცეიტლინმა, რომ 10 პროც. იქნება მომატებული, მე კიდევ ვიშუამდგომლებ, რომ ჩემი ნათქვამი სიტყვა გავამართლოთ, თანაც ურჩია მუშებს, რომ დათანხმებულიყვნენ.

„ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲔᲚᲘ ᲑᲔᲒᲘ“

გაზ. „თანამედროვე აზრი“ 1917 წ. 21 თებერვალი

ᲗᲣ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲰᲐᲘᲓᲐᲠ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲦᲕᲐᲬᲚᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲣᲠ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲒᲐᲑᲔᲓᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ.

ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲣᲠᲛᲐᲜᲘᲫᲔ

ღვაწლი თვალსაჩინო მშენებლისა

ნოდარ მეძმარიაშვილი - 90



მისი ცხოვრების მთელი პერიოდი ბობოქარი შემოქმედებითი წლებისგან შედგება. დაიბადა და გაიზარდა შუაგულ იმერეთში. ბავშვობა ჰქონდა მხიარული და ოცნებებით სავსე. უყვარდა წერა-კითხვა, ხელოვნება და სპორტი. ყრმობის წლების დასაწყისში მოუსწრო დიდმა სამამულო ომმა, მამა ომში გაიწვიეს, დარჩა დედასთან და უმცროს ძმასთან ერთად მომავალი განსაცდელის წინაშე, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრია და კიდევ უფრო მეტი შემართებით შეუდგა მომავალი ცხოვრების გზას.

დაამთავრა საშუალო სკოლა მედალზე, ხოლო პოლიტექნიკური ინსტიტუტი შახტმშენებლის სპეციალობით წარჩინებით. ინსტიტუტის რექტორატმა გაითვალისწინა მისი პოტენციალი და დატოვა კათედრაზე სამეცნიერო და პედაგოგიური მიღწევებისთვის მომავალი თაობის აღსაზრდელად. თუმცა მან საბოლოოდ, მისი ბუნებიდან გამომდინარე, სამშენებლო მოედანზე მუშაობა აირჩია, რადგანაც ქ. დონეცკში სადიპლომო პრაქტიკის დროს კარგად გაითვითცნობიერა თავის ენერგიულობასა და პრაქტიკულ საქმიანობას შორის კავშირი. აქ მან რიგით მუშად დაიწყო მუშაობა შახტაში 1951 წელს. სხვადასხვა დროს 1951-1959 წლებში იყო ტრესტ „დონეცკშახტმშენებლის“ სამმართველოს მთავარი ინჟინერი, სამმართველოს უფროსი, ტრესტის მთავარი ინჟინერი. 1959 წელს დააწინაურეს დონეცკის ოლქის სამშენებლო-სამრეწველო გაერთიანება „დონეცკბინათმშენებელის“ მთავარ ინჟინრად, ხოლო შემდგომ მის უფროსად. აქ იმუშავა 1973 წლამდე. დონეცკის ოლქში მოღვაწეობის პერიოდში მან გამოიჩინა თავი როგორც მაღალი რანგის პროფესიონალმა მშენებელმა და ორგანიზატორმა, რაც მხედველობიდან არ გამორჩენია უკრაინის რესპუბლიკის მთავრობას და შესაბამის საკავშირო სამინისტროების ხელმძღვანელებს. ჩვენი სახელოვანი ქართველი მშენებელი, ბატონი **ნოდარ მეძმარიაშვილი** სხვადასხვა დროს დააჯილდოვეს სამი უმაღლესი რანგის ორდენითა და რამდენიმე მედლით, მიენიჭა სახელმწიფო პრემია, იყო უკრაინის რესპუბლიკისა და საკავშირო ყრილობების რამდენიმე მოწვევის დელეგატი.

1973 წლიდან იწყება მისი მოღვაწეობის ახალი ეტაპი. იგი გადმოჰყავთ საქართველოში სამუშაოდ. ინიშნება ჯერ საქართველოს რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ, ხოლო შემდგომ, სულ რამდენიმე თვეში, მინისტრად, სადაც მან იმუშავა 1981 წლამდე. პირველი რაც მან გააკეთა, ეს იყო სამშენებლო კომპლექსში მართვის ახალი სისტემის ჩამოყალიბება. მისი სტრუქტურის ყველა დონეზე ამაღლებული იქნა თითოეული პერსონალის პასუხისმგებლობის დონე, გაძლიერდა საშემსრულებლო დისციპლინა, დიდი ყურადღება დაეთმო სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებას, განსაკუთრებით საბინაო მშენებლობის სფეროში, რომლის პოტენციალი ბატონი ნოდარის მინისტრობის პერიოდში თითქმის ორჯერ და მეტად გაიზარდა, საგრძნობლად გაუმჯობესდა მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დონე. ჩამოყალიბდა ობიექტებზე სამუშაოების წარმოების ნაკადური მეთოდი, მართვის საქმეში ჩაერთო ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენება. გენმოიჯარეების პასუხისმგებლობის გარკვეული წილი პასუხისმგებლობა გადანაწილდა სამშენებლო კომპლექსში მომუშავე ქვემოიჯარე უწყებებზე. ერთი სიტყვით, მშენებლობის სისტემა ორკესტრირებულ მართვას დაექვემდებარა და იგი მშენებლობის ყოფილ საკავშირო სამინისტროში მისაბაძიც გახდა.

ყველაფერი ეს შესაძლებელი შეიქმნა იმიტომ, რომ საკადრო პოლიტიკა სწორად იყო წარმართული, ანუ მთავარი გახლდათ პროფესიონალიზმი, საქმისადმი ერთგულება, მაღალი პასუხისმგებლობა და ერთმანეთის გვერდში დგომა. სწორედ უმეტესად ამ თვისებების მქონე ადამიანები ყავდა ბატონ ნოდარს მინისტრის მოადგილეებად, გაერთიანების უფროსებად, ტრესტის მმართველებად, სამინისტროს აპარატში და სხვა სტრუქტურებში.

ბატონი ნოდარის ამ ადამიანებთან ერთად მოღვაწეობის პერიოდში, მშენებლობის სამინისტრო ყოველწლიურად აშენებდა 900-950 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის სახლებს (დღევანდელი განზომილებით ეს ფართობი თითქმის ორჯერ უნდა გამრავლდეს), სკოლებს, საბავშვო ბაგა-ბაღებს, სხვადასხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარება-გაძლიერებისთვის საჭირო სხვადასხვა სამრეწველო ობიექტებს.

საქართველოს მთავრობას არ გამორჩენია უყურადღებოდ ბატონი ნოდარის დამსახურება ქვეყნის სამშენებლო პოტენციალის განვითარების საქმეში, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებისა და განსაკუთრებით ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ღერძის, სამრეწველო ობიექტების მშენებლობაში ქალაქებში – თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, სოხუმში, გაგრაში, ზესტაფონში, ჭიათურაში, ზუგდიდში, ფოთში, გორში, ბოლნისში და სხვადასხვა რეგიონში, რისთვისაც ის სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ბატონი ნოდარ მეძმარიაშვილი დაჯილდოებულია სხვადასხვა ორდენითა და მედლით, მიენიჭა სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა, საქართველოს დამსახურებული ინჟინრისა და მშენებლის საპატიო წოდებები.

1981-1982 წლებში ბატონი ნოდარი მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, სადაც ისეთივე შემართებით იმოღვაწა, როგორც მას სჩვეოდა მანამდე.

1982 წლიდან ბატონი ნოდარის ცხოვრებაში იწყება მისი მოღვაწეობის ახალი სფერო, სრულიად განსხვავებული ადრინდელი საქმიანობისგან. ის გადაიყვანეს სამუშაოდ მოსკოვში, ყოფილ საკავშირო მთავრობაში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად, სადაც იმუშავა 1991 წლამდე. მისი საქმიანობის არსიდან გამომდინარე, იგი ჩვეული შემართებით უკეთებდა ორგანიზებას საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელების შეხვედრებს, ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლესი რანგის სამთავრობო წარმომადგენლებთან და ამას აკეთებდა უმწიკვლოდ, უზადოდ, ყოველგვარი ნაკლის გარეშე.

1991 წელს ბატონი ნოდარი ისევ საქართველოში გადმოჰყავთ მშენებლობის მინისტრის მოადგილედ, სადაც იმუშავა 1995 წლამდე. ეს პერიოდი, როგორც საქართველოსთვის, ისე ბატონი ნოდარისთვის იყო საკმაოდ რთული და არა ისეთი ნაყოფიერი, როგორიც მას სჩვეოდა ადრინდელი მოღვაწეობის პერიოდში.

ბატონი ნოდარი სამშენებლო სფეროს გარდა აქტიურად მოღვაწეობდა სპორტში. წლების განმავლობაში იყო საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარე (მაშინ პრეზიდენტობა არ იყო) და თვითონაც აქტიური მოყვარული იყო სპორტის სხვადასხვა სახეობის. მის სახელთანაა გარკვეულწილად დაკავშირებული ქუთაისის რაგბის გუნდი „აიას“ ეკონომიკური მხარდაჭერა, რომელიც წლების განმავლობაში გამოდიოდა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს ქუთაისის სახლთმშენებელი კომბინატის სახელით და საკმაოდ წარმატებულადაც!

ბატონი ნოდარი ასევე აქტიური მოღვაწე იყო და არის სამშენებლო სფეროს აკადემიურ საქმიანობაში. პროფესიული დონიდან და მოღვაწეობიდან გამომდინარე, იგი არის საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი და საქართველოს მშენებელთა ფედერაციის საპატიო წევრი.

ბატონი ნოდარი ოჯახური ყოფა-ცხოვრების სამაგალითო წარმომადგენელია, რომელსაც ექვს ათეულ წელზე მეტი გვერდში ედგა მისი ორი ვაჟკაცის, მშენებლისა და მსახიობის – გიორგისა და ალექსანდრეს დედა, მისი სიყვარულის ლამპარი და ჩაუმქრალი სანთელი, ქალბატონი გალინა ონიშენკო-მეძმარიაშვილი.

ბატონო ნოდარ, ისღა დაგვრჩენია, რომ ჩვენ, მშენებლებმა, ვისაც თქვენს გვერდით გვიმოღვაწია წლების განმავლობაში, გვინდა, მოგილოცოთ დაბადების საიუბილეო თარიღი და გისურვოთ მრავალი წლის ჯანმრთელი, ბედნიერი და მხიარული სიცოცხლე თქვენს შვილებთან, შვილიშვილებთან და მეგობრებთან ერთად.

უფალმა გიძლიეროს სამშობლო!

ამინ!

საქართველოს მშენებელთა ფედერაცია;
სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“

ჭეშმარიტი მამულიშვილი

13 მარტს 90 წელი უსრულდება **ნოდარ მეძმარიაშვილს,** ღვაწლმოსილ მშენებელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის კურსდამთავრებულს, საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს, დამსახურებულ მშენებელს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრს, საქართველოს უმაღლესი საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატს, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრს, დონეცკის ოლქის სამშენებლო გაერთიანების ყოფილ უფროსს, 1971-83 წლებში საქართველოს მშენებლობის მინისტრს, 1985-91 წლებში საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს სსრკ მინისტრთა საბჭოში, 1991-92 წლებში საქართველოს ელჩს რუსეთში. 1992-94 წლებში მოსკოვის ოლქის განვითარების მინისტრის მოადგილეს, 1999-2012 წლებში რუსეთის სახალხო-სამხატვრო ფონდის გენერალურ დირექტორს, 1984 წელს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს, საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის გამოცემის კომისიის თავმჯდომარეს...



დაბადების საიუბილეო თარიღს ულოცავს სამშენებლო ფაკულტეტი და უსურვებს ბატონ ნოდარს ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

სამშენებლო ფაკულტეტის დეკანატი

გვარის სიამაყე

კაცური კაცი გვარს ამშვენებს. გვარი სამშობლოს. საქართველო ღირსეულ გვართა და პიროვნებათა ქვეყანაა. სწორედ ასეთ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება მეძმარიაშვილთა გვარის ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და მშენებელი – **ნოდარ აკაკის-ძე მეძმარიაშვილი,** რომელსაც მიმდინარე წელს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.

ბევრისგან უარყოფილი 13 რიცხვი (დაიბადა 13 მარტს) ბედნიერი აღმოჩნდა ბატონი ნოდარისთვის. შესანიშნავად განვლილი შრომითი გზა, ძლიერი სამეგობრო, ცნობილი პიროვნებების ნაცნობ-მეგობართა ფართო წრე. მართლაც რომ ბევრს შეშურდებოდა.

როგორც ამბობენ კაცი სამშობლოში ოჯახის, სამშობლოს გარეთ კი ქვეყნის დესპანია. ჭეშმარიტად ღირსეულად გასწია წლების მანძილზე საქართველოს დესპანობა, გამოაჩინა ქართველი კაცის ინტელექტუალური და მორალური სახე.

ცხოვრების თითქმის ნახევარი უცხოეთში მოღვაწეობდა, მაგრამ არასოდეს დაუკარგავს თავისი ქვეყნისა და მიწა-წყლის სიყვარული.

სწორედ ამ ასაკში გაუწია გულმა ფესვებისაკენ და მოიარა წინაპართა ნაკვალევი ქუთაისში, სამტრედიაში – ეწერში.

გილოცავთ, ბატონო ნოდარ ამ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ფეხბედნიერად გევლოთ შემდეგ ათწლეულში ასწლეულისაკენ.

მეძმარიაშვილთა გვარს უფალმა დიდი მისია დააკისრა: ერთი მეძმარიაშვილი – ელგუჯა, კოსმოსში აგებს კონსტრუქციებს, მეორე ნოდარი – მიწისქვეშეთს აშენებს, ხოლო მესამე – ლერი, დედამიწაზე ქმნის არქიტექტურულ შედევრებს.

ღმერთმა ამრავლოს მეძმარიაშვილთა გვარი.

ვაჟა ნადირაშვილი,
საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარის გვარიშვილობის“ გამგეობის თავმჯდომარე; საქართველოს დამსახურებული მშენებელი

განუმეორებელი მოქალაქე და მოღვაწე!

არიან ადამიანები, რომლებიც განუმეორებელ კვალს ტოვებენ, როგორც საზოგადოების, ისე პიროვნებების ცხოვრებაში. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ცნობილი მშენებელი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე **ნოდარ აკაკის-ძე მეძმარიაშვილი**. ბატონმა ნოდარმა ცხოვრების საინტერესო გზა განვლო. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, შრომითი საქმიანობა უკრაინაში, კერძოდ დონბასში შახტების მშენებლობაზე დაიწყო. მან სწრაფად გაიარა პროფესიული გზა რიგითი მეშახტიდან შახტსაამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელამდე. დონბასში იგი ჩამოყალიბდა, როგორც პროფესიონალი შახტმშენებელი.

მას და მის კოლეგა-მეგობრებს დაეკისრათ ორმოცდაათიან წლებში ქვანახშირის დეფიციტიდან ქვეყნის გამოყვანის მოვალეობა. ამ ამოცანამ მოითხოვა მრავალი შახტის მშენებლობა, რასაც დომბასელებმა წარმატებით გაართვეს თავი. აქ ბატონი ნოდარი, როგორც ახალგაზრდა ხელმძღვანელი და ორგანიზატორი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და დაიწყო თანდათანობითი სვლა ზევით.

თავდადებული და დაუღალავი შრომის შედეგად ამ უცხო მხარეში დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. აქვე შექმნა ოჯახი და ღირსეული მოქალაქის სახელი მოიხვეჭა.

შემდეგ, როდესაც სამოქალაქო მშენებლობაში გადაიყვანეს და დანიშნეს საოლქო გაერთიანების „დონეცკბინათმშენის“ უფროსად, ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა დონეცკელებისთვის. ააშენა მრავალი სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო ობიექტი. გაალამაზა და დაამშვენა დონეცკი. მარტო ის რად ღირდა, რომ იგი მილიონიანი ვარდების ქალაქად აქცია. ბავშვებს აუშენა საბავშვო რკინიგზა. მისი ინიციატივით ოლქში დაარსდა და აშენდა სამშენებლო ინსტიტუტი.

ბატონი ნოდარის პროფესიონალიზმისა და ძლიერი ხელმძღვანელის სახელი უკვე მთელი კავშირის მასშტაბით იყო ცნობილი. დონეცკში მას „ლეგენდარულ მეძმარიაშვილს“ ეძახდნენ.

1973 წელს ბატონი ნოდარი საქართველოში მოიწვიეს და მშენებლობის მინისტრად დანიშნეს.

ამ თანამდებობაზე მან გამოიჩინა თავი, როგორც მაღალი დონის მენეჯერმა და ორგანიზატორმა. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვით თითქმის მეცნიერულ დონემდე აიყვანა სისტემაში მშენებლობის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა. უზრუნველყო ყველა რგოლის სინქრონული მუშაობა. ამან განაპირობა სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო ობიექტების, ასევე ახალი სამრეწველო სიმძლავრეების გრაფიკის დაცვით ექსპლუატაციაში შეყვანა.

სადაც კი მუშაობდა ბატონი ნოდარი ყველგან ტოვებდა თავის ხელწერას. ასე იყო შემდგომ საქართველოს საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ყოფნისას.

1982 წელს ბატონი ნოდარი მოსკოვში გადაიყვანეს და დანიშნეს ჯერ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილედ, ხოლო შემდეგ წარმომადგენლად.

მოსკოვში მუშაობის დროს მან მტკიცედ დაიმკვიდრა თვალსაჩინო ადგილი, როგორც სამთავრობო ორგანოებში, ისე რუსეთის პროგრესულ ინტელიგენციაში.

ამას ხელი შეუწყო მისი მეუღლის, ქალბატონ გალინას მიერ გამართულმა ლიტერატურულმა სალონმაც, რომელშიც იკრიბებოდნენ, როგორც თბილისში ისე მოსკოვში მცხოვრები ცნობილი ლიტერატორები, მსახიობები, მხატვრები, საზოგადო მოღვაწეები. მიმდინარეობდა ახალი ევროპული აზროვნების დანერგვა, ზრუნვა კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისთვის.

იგი აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა ახალგაზრდების აღზრდის სფეროში, 1966–1973 წლებში იყო დონეცკის ოლქის ჩოგბურთის ფედერაციის პირველი თავმჯდომარე. შემდეგ 1973–1982 წლებში საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარე. მის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული დონბასში და საქართველოში ჩოგბურთის კომპლექსური ახალი ბაზების შექმნა, პირველი დახურული კორტების მშენებლობა თბილისში, საბჭოთა კავშირის ჩოგბურთის ნაკრები გუნდის სავარჯიშო ბაზის შექმნა ქალაქ თელავში. 1979 წელს იგი იყო ესპანეთში დევისის თასის გათამაშებაში მონაწილე საბჭოთა კავშირის ჩოგბურთის ნაკრები გუნდის უფროსი.

ბევრი სასიკეთო საქმე აქვს გაკეთებული საქართველოსთვის. მიუხედავად მისი ასაკისა, იგი დღესაც აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა.

არის საქართველოს საინჟინრო და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიების წევრი, საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე.

გამოსცა მემუარული წიგნი „ოქროს აკვანი მოწამეთაში“. ეს წიგნი არის არა მარტო მისი ცხოვრების განვლილი პერიოდი, არამედ ჩვენი ქვეყნის ისტორიაც, რომელიც მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ.

ბატონი ნოდარი მრავალი სამთავრობო ორდენისა და მედლის მფლობელია. არის საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და დამსახურებული მშენებელი, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს გამოჩენილ ინჟინერ-მშენებელს, ღირსეულ მოქალაქეს და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ ნოდარს 90 წლის იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას, რათა კვლავ ასეთივე შემართებით ეღვაწოს ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სახელით –

აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი, თბილისის საპატიო მოქალაქე
თეიმურაზ ბაბუნაშვილი;
ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა; აკადემიკოსები: მერაბ ნიკოლაიშვილი, ვაჟა ნადირაშვილი, ბორის სარალიძე, გურამ გვეტაძე, ნოდარ ჩიბალაშვილი, გურამ კლიმიაშვილი

დღეიდან ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაცია იწყება

12 მარტიდან ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, სტუდენტთა საგრანტო კონკურსისა და საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის რეგისტრაცია იწყება.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის სოფო გორგოძის თქმით, რეგისტრაცია 10:00 საათზე დაიწყება. გორგოძე მოუწოდებს სტუდენტებსა და აბიტურიენტებს, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ რეგისტრაციის ვადებზე და სხვა შესაბამის ინფორმაციაზე, რომელიც გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე ხვალიდან იქნება ხელმისაწვდომი.

„მნიშვნელოვანია, რომ აბიტურიენტებმა, მაგისტრანტებმა და სტუდენტებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ რეგისტრაციის ვადებსა და ყველა ინფორმაციას, რომელიც ხვალ დილიდან დაიდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე“, – აღნიშნა სოფო გორგოძემ.

რა ცვლილებებია 2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტების ფორმატში

2019 წელს ცვლილება ოთხ გამოცდას (ქართულ ენასა და ლიტერატურას, ლიტერატურას, გეოგრაფიასა და უცხოურ ენებს) შეეხება. წინა წლების ტესტების ანალიზმა და პედაგოგებთან ერთად ამ გამოცდების შედეგების განხილვამ აჩვენა, რომ აბიტურიენტის ცოდნისა და უნარების უკეთ შესაფასებლად მიზანშეწონილია ამ საგამოცდო ტესტების ფორმატში გარკვეული ცვლილებების შეტანა. ამ ცვლილებების მიუხედავად, არ შეიცვლება მინიმალური კომპეტენციის პროცენტული ზღვარი.

ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა:

ტესტში იქნება მხოლოდ 3 დავალება: ტექსტის რედაქტირება (მაქსიმალური 16 ქულა), არგუმენტირებული ესე (მაქსიმალური 24 ქულა) და მხატვრული ტექსტის ანალიზი (მაქსიმალური 30 ქულა). ასე რომ, წინა წელთან შედარებით 2019 წლის ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტს მოაკლდება 15-ქულიანი არჩევითპასუხებიანი დავალება (წაკითხულის გააზრება), მხატვრული ტექსტის ანალიზს კი დაემატება 5 ქულა; შესაბამისად, საგამოცდო ტესტი იქნება 70-ქულიანი და არა 80-ქულიანი, როგორც ეს წინა წლებში იყო.

ტესტის დავალებების შემცირებასთან ერთად შემცირდება საგამოცდო დროც და გახდება 3 საათი და 45 წუთი.

სასკოლო ექსკურსიებზე წესრიგი მკაცრდება

ბავშვის უფლებათა კოდექსში სასკოლო ექსკურსიებთან დაკავშირებით ახალი წესრიგი (რეგულაციები) ჩაიწერება.

მუხლი 66. საჯარო ღონისძიებებში ბავშვის უსაფრთხოების დაცვა

1. საჯარო ღონისძიებებში ბავშვის მონაწილეობის ხელმძღვანელი ვალდებულია, ბავშვს და მის კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია ღონისძიების მიზნების, დაგეგმილი აქტივობების და მხარეთა უფლება- მოვალეობების შესახებ.

2. საჯარო ღონისძიებებში ბავშვის მონაწილეობის ხელმძღვანელს სრულყოფილად უნდა ჰქონდეს მონაწილეთა მონაცემები, მათ შორის, ინფორმაცია.

ბავშვის სპეციალური საჭიროებების შესახებ, ინფორმაცია ღონისძიების ინსტრუქტორის, მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირის და გადამზიდავის კვალიფიკაციაზე, ტრანსპორტის გამართულობასა და ბავშვების განთავსების ადგილის საევაკუაციო გეგმის შესახებ.

3. ღონისძიების გამართვის ადგილი, დრო და ხანგრძლივობა უნდა ეცნობოს შესაბამის პოლიციის, სახანძრო-სამაშველო და სასწრაფო დახმარების სამსახურებს.

4. თუკი ბავშვების ჯგუფური ტრანსპორტირების დროს, დროებითი განთავსების ადგილებში და ორგანიზებულ ჯგუფებში ღონისძიების ორგანიზატორის მიერ არ არის უზრუნველყოფილი ექიმის ან ექთნის 24-საათიანი მომსახურება, იმ პირთა შორის, რომლებიც იღებენ ბავშვების უსაფრთხოებაზე მეთვალყურეობის პასუხისმგებლობას, უნდა იყოს სულ მცირე ერთი სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელსაც გავლილი აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების კურსი.

5. ბავშვის ტრანსპორტირებისას მათი კვების მიზნით საკვები პროდუქტების ტრანსპორტირება უნდა ხორციელდებოდეს სანიტარიული პირობების დაცვით.

6. საჯარო ღონისძიების ფარგლებში კვების ობიექტზე დაცული უნდა იყოს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. საკვები პროდუქტები უნდა იყოს უსაფრთხო და აკმაყოფილებდეს საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების ჰიგიენურ ნორმატივებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ამ მუხლით დადგენილი ვალდებულებების დაცვაზე კონტროლს ახორციელებს ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახური.

8. ამ მუხლის მოთხოვნების დაუცველობა იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას.

ვალდებულებების შეუსრულებაზე დაწესდება ფულადი ჯარიმა, კერძოდ, საჯარო ღონისძიების ხელმძღვანელის მიერ საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობა

ბავშვის მონაწილეობით გამართული საჯარო ღონისძიების ხელმძღვანელის მიერ საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

გადამყვანი კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა

1. გადამყვანი კომპანიის მიერ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს გადამყვანი კომპანიის ან გადამყვანი კომპანიის წარმომადგენლის დაჯარიმებას სახმელეთო ტრანსპორტის შემთხვევაში 300 ლარის ოდენობით, საზღვაო ტრანსპორტის შემთხვევაში – 1000 ლარის ოდენობით, ხოლო საჰაერო ტრანსპორტის შემთხვევაში – 1500 ლარის ოდენობით.

2. ბავშვების საბავშვო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირება საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებების კოდექსი“ დადგენილი მოთხოვნების დარღვევით – გამოიწვევს გადამყვანი კომპანიის ან გადამყვანი კომპანიის წარმომადგენლის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე“.

მიმდინარე წელს საქართველო სერიოზული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდება!..

ИТАЛИУРИ გამოცემა, „Il Caffe Geopolitico“ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობას ვრცელ სტატიას უძღვნის.

საინფორმაციო სააგენტო „**ნიუსპრესი**“ გვთავაზობს პოლიტოლოგ **მათია ბალდონის** ავტორობით გამოქვეყნებული მასალის ქართულენოვან ვერსიას:

2019 წელი საქართველოში მრავალრიცხოვანი კითხვებით და მომავლის იმედებით დაიწყო. თბილისს უკვე ათ წელზე მეტია, მოსკოვთან რთული დამოკიდებულება აძვს: სამხრეთკავკასიური სახელმწიფო ყოფმანობს სტატუს-კვოს, ნორმალიზების იმედებს და ნატო-ევროკავშირში გაწევრიანების ძლიერ სწრაფვას შორის. ალბათ, საინტერესოა, გავიგოთ – რა წინაპირობები არსებობს სერიოზული დიალოგის დაწყებისთვის საქართველო-რუსეთს შორის არსებული რთული პრობლემების მოსაგვარებლად?

თბილისი „ორ ცეცხლს შორის“

მიმდინარე წელს საქართველო რიგი სერიოზული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდება: ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს ინსტიტუციონალური რეფორმები, განამტკიცოს დემოკრატიული სისტემა და თან ისე, რომ ლავირება მოახდინოს ძლიერ პროევროპულ სწრაფვასა და რუსეთთან ურთთიერთობის ნორმალიზების აუცილებლობას შორის. ქვეყნის ახალ პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს შუამავლის რთული როლის შესრულება მოუწევს. მისი როგორც დამოუკიდებელი კანდიდატის გამარჯვება, რომელსაც მხარი დაუჭირა ბიძინა ივანიშვილის სამთავრობო პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“, იმ ვარაუდის გამოთქმის საფუძველს იძლევა, რომ იგი შედარებით უფრო ნაკლებად „მეომრულ“ პოზიციას დაიკავებს მოსკოვთან ძნელ დიალოგში. უფრო უარესი იქნებოდა, მის ადგილზე გრიგოლ ვაშაძე რომ ყოფილიყო, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი პარტიის წარმომადგენელია. პრინციპში, კაცმა რომ თქვას, რუსეთთან დიალოგისთვის მომენტი საკმაოდ ხელსაყრელია, მაგრამ სალომე ზურაბიშვილმა დაუყონებლივ „დაამშვიდა“ „ენთუზიასტები“ და განაცხადა, რომ სერიოზული და ეფექტური დიპლომატიური ურთიერთობის აღსადგენად დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა – პირველ რიგში, აუცილებელია, რომ სტრატეგიული პარტნიორების (ანუ ევროკავშირის და ნატოს) მხრიდან მხარდაჭერაში დავრწმუნდეთო.

უკიდურესად თავშეკავებულადაა გამოხატული კრემლის რეაქციაც საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგებისადმი: რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა და პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის პრესმდივანმა აღიარეს, რომ ქართველი და რუსი ხალხების ერთმანეთთან სიახლოვე აუცილებელია და იმავდროულად ხაზი გაუსვეს ორი ქვეყნის ხელისუფლებას შორის შექმნილ დიდ დისტანციას. თბილისსა და მოსკოვს შორის მიმდინარე დაახლოების პროცესმა სულაც ვერ მოახდინა გავლენა აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის ლიდერებზე, რომელთა ბაგეთაგან პროპაგანდისტული განცხადებები და მოსკოვის მიმართ ხოტბა-დიდება ისმის. თბილისის მიმართ კი ისინი ყოველგვარი კავშირების გაწყვეტის პოლიტიკას აგრძელებენ. ქართული პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორის კორნელი კაკაჩიას თქმით, სეპარატისტული რეგიონების საკითხი უკიდურესად რთულია და მას, ერთი მხრივ, ურთიერთობის რამდენიმე დონე (საქართველო-აფხაზეთი, საქართველო-სამხრეთ ოსეთი, საქართველო-რუსეთი) განსაზღვრავს, მეორე მხრივ კი – გლობალური დონე (რუსეთი-დასავლეთი). ქვეყნის მასშტაბისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური წონის გათვალისწინებით, საქართველოს შეუძლია თვითონ გადაწყვიტოს პრობლემების შეზღუდული რაოდენობა, ამიტომაც, კორნელი კაკაჩიას აზრით აუცილებელია შუამავლობა იმ სუბიექტების მხრიდან, რომლებსაც რუსეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ. მათ შეუძლიათ ისარგებლონ თავიანთი პოლიტიკური გავლენით, რათა სტატუს-კვო მკვდარი წერტილიდან დაიძრას. ამ საკითხით დაინტერესებული ყველა მხარისთვის აშკარაა, რომ თბილის-სოხუმ-ცხინვალს შორის ურთიერთობის აღდგენა, მართლაც წინასწარი პირობაა ყოველი იმ პროექტისათვის, რომელიც საქართველოს მომავალს ეხება და რომელიც მუდმივად ორ ცეცხლს შუა იმყოფება: ნატო-ევროკავშირში გაწევრიანებასა და მემკვიდრეობით მიღებულ პრობლემებს შორის.

სავაჭრო ურთიერთობები: არის თუ არა შანსები?

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით შეიქმნება კომისია, რომელიც ხელს შეუწყობს შვეიცარიულ კომპანია Societe Generale de Surveillance-ს მონიტორინგი განახორციელოს სავაჭრო ტვირთბრუნვის პროცესზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიის (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის) გავლით იწარმოებს. ეს გადაწყვეტილება დაკავშირებულია როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ პროცესებთან. საქმე იმაშია, რომ საქართველოს და რუსეთს ერთმანეთთან ერთადერთი სახმელეთო გზა აკავშირებს, რომელიც ზემო ლარსის საკონტროლო-გამსვლელ პუნქტზე გადის. „საქართველოს სამხედრო გზა“, რომელზეც მუდმივად მოძრაობს დიდტვირთიანი მძიმე და მსუბუქი ავტოტრანსპორტი, წელიწადში ხშირადაა ბლოკირებული უამინდობისა და რთული რელიეფის გამო. გზაზე მოძრაობის შეფერხების გამო ზარალდება სომხეთი, რომელიც ბევრად არის დამოკიდებული კრემლზე. მართლაცდა სომხეთი, პატარა კავკასიური რესპუბლიკა, საქართველოს სამხრეთი მეზობელი, რუსეთთან მხოლოდ სამხედრო გზით არის დაკავშირებული, რომელიც ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროიდან მოყოლებული, თბილისში იწყება და ვლადიკავკაზში მთავრდება.

ყველაფრის მიუხედავად, საქართველოსა და რუსეთის ორმხრივი ურთიერთობის პოზიტიურ დინამიკას მოწმობს ქართველი პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის სიტყვები, რომელთა მიხედვით, საქართველო რჩება სატრანზიტო ქვეყნად რუსული გაზის სომხეთში ტრანსპორტირების საკითხშიც. მართალია, საქართველო საკუთარ თავს აზერბაიჯანული გაზით უზრუნველყოფს, მაგრამ იმავდროულად თბილისი უარს არ ამბობს ენერგეტიკული გზაჯვარედინის როლის შესრულებაზე რეგიონში. ამ რთულ სცენარში სომხეთი ძალიან არის დაინტერესებული იმით, რომ მუდმივად „უბიძგოს“ რუსეთისა და საქართველოს მთავრობებს სატრანზიტო შეთანხმების რეალიზებისაკენ, სეპარატისტული რეგიონებზე გავლით. ამ საკითხის დელეგირება მესამე ნეიტრალური მხარისთვის (შვეიცარული კომპანიისთვის) შესაძლოა ის დადებითი ფაქტორი გახდეს, რომელიც მხარეთა შერიგების პროცესზე კეთილ გავლენას მოახდენს, თუმცა ამისთვის მრავალი სხვა ბარიერის გადალახვაც იქნება საჭირო.

თბილის-მოსკოვის ორმხრივი ურთიერთობების რთულ ხასიათს უმთავრესად ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი განსაზღვრავს: რუსეთის მიერ აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო „რესპუბლიკების“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება. ამასთან, ქართული მხარე თვლის, რომ ხსენებული რეგიონები რუსეთის მიერაა ოკუპირებული. როგორც ჩანს, ამ საკითხში კომპრომისის მიღწევის გარეშე ყველანაირი მოლაპარაკება საბოლოოდ მაინც ჩიხში შევა. სამწუხაროდ, სავაჭრო-ეკონომიკური სფეროს წარმატებები პოლიტიკური პრობლემების მოგვარებაში პოზიტიურ როლს ვერ ასრულებს. პირიქით – შესაძლოა სიტუაცია უფრო გაუარესდეს კიდეც. როგორც თვითონ კორნელი კაკაჩია თვლის, გულუბრყვილობა იქნებოდა თბილისი მოსკოვთან დამოკიდებულებაში მხოლოდ სავაჭრო კავშირების იმედზე იყოს. მხარეთა შორის ძალთა თანაფარდობა ისეთია, რომ ეკონომიკური ფაქტორი რუსეთის ხელში შეიძლება იმ რბილი ძალის ინსტრუმენტი გახდეს, რომლითაც მოსკოვმა საქართველოზე გავლენა მოახდინოს.

საქართველო პოსტსაბჭოთა სახელმწიფო აღარაა

ამასობაში კი ევროპა საქართველოს ინვესტირებას ახდენს. 2019 წელს ევროკომისიამ თბილისს, ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე, 3,5 მილიარდი ევრო გამოუყო ქვეყანაში 18 ინფრასტრუქტურული პროექტის განვითარების მიზნით, რომელთა შორის სატრანსპორტო სფერო პრიორიტეტულად ითვლება: თბილისმა მთავარი ყურადღება მას უნდა დაუთმოს და მოდერნიზება განახორციელოს.

პროექტებს შორის არის ანაკლიის მასშტაბური ნავსადგურის მშენებლობა, რომელსაც დამფუძნებლები სიმბოლურად „ევროპის ყველაზე აღმოსავლეთ ნავსადგურს“ უწოდებენ. გეგმის მიხედვით, ანაკლია შავი ზღვის უდიდესი საერთაშორისო პორტი უნდა გახდეს. მისი ღირებულება, ზოგიერთი მონაცემებით, დაახლოებით 400 მილიონი დოლარია. ინვესტორები ძირითადად უცხოელები არიან. შეიძლება ითქვას, რომ ანაკლიის პორტით „ტრასეკას“ (Transport Corridor Europe-Caucasus-Asia) სავაჭრო მარშრუტს „ახალი სუნთქვა“ გაეხსნება – მრავალრიცხოვანი ტვირთების გადაზიდვის პერსპექტივით, ევროპიდან აზიაში და პირიქით. ანაკლიის ღრმაწყლიანი ნავსადგურის არსებობა ბოსფორის სრუტით კონტეინერმზიდი დიდი გემების მიღების საშუალებას იძლევა, ბოსფორის სრუტის გავლით. იმავდროულად სწორედ ეს გარემოება აღიზიანებს რუსეთს, რადგან პერსპექტივაში საქართველოს ნატოს დიდი სტრატეგიული სამხედრო ხომალდების მიღების შესაძლებლობაც ექნება.

კრემლი ჯერჯერობით დუმს, მაგრამ მას ანაკლიის პორტის პროექტი კატეგორიულად არ მოსწონს. სამაგიეროდ, მას მხარს უჭერს ჩინეთი. სწორედ ჩინეთი გახდა საქართველოს მესამე სავაჭრო პარტნიორი, რომელმაც კავკასიურ ქვეყანასთან ვაჭრობის მოცულობა, 2002 წელთან შედარებით, თითქმის 40-ჯერ გააფართოვა. ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ მხოლოდ ერთი ჩინური „აზიის ინფრასტრუქტურული ინვესტიციების ბანკი“ ანაკლიის მშენებლობის ღირებულების 25%-ს აფინანსებს. თბილისმაც, თავის მხრივ, ჩინური წარმოების 28 მატარებელი შეიძინა და დათანხმდა ჩინეთთან თანამშრომლობას ენერგეტიკული ქსელისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების იმ პოზიტიურ ასპექტებს შორის, რომლებიც მოსკოვისთვის მოსაწონი შეიძლება იყოს, უმთავრესად არის თბილისის აწონილ-დაწონილი და პრაგმატული ურთიერთობის გაგრძელება თეირანთან, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველომ მხარი არ დაუჭირა აშშ-ის ხისტ პოზიციას ირანთან მიმართებით.

ენერგეტიკულ სექტორში (სამხრეთკავკასიური გაზსადენი) აზერბაიჯანთან და თურქეთთან წარმატებული სამმხრივი თანამშრომლობა იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ საქართველო, როგორც იქნა, ნატოსა და ევროკავშირის დახმარებით, პოსტსაბჭოთა ორბიტის გარეთ იმყოფება. ძვეძანამ შეძლო ის, რომ მას უკვე თავისი, საკმაოდ ავტონომიური და მრავალფეროვანი სივრცე აძვს აზია-ევროპას შორის გზაზე მანევრირებისთვის. საერთოდ კი, წინააღმდეგობების ურთიერთშეთავსება, ისტორიულად, კავკასიის ბუნების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

„IL CAFFE GEOPOLITICO“ (იტალია)

ავიაკატასტროფა ეთიოპიაში

ეთიოპიის პრემიერ-მინისტრის ცნობით, ავიაკომპანია Ethiopian Airlines-bc Boeing 737 თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად, ბორტზე მყოფი 149 მგზავრი და ეკიპაჟის 8 წევრი დაღუპულია. ანალოგიურ ინფორმაციას ავრცელებს ავიაკომპანიაც, რომელიც აცხადებს, რომ არ არსებობს საბუთი იმისა, რომ თვითმფრინავში მყოფებთაგან ვინმე გადარჩა.

გარდაცვლილები 33 ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ. ავიაკატასტროფის გამომწვევი მიზეზი, ჯერჯერობით, დაუდგენელია.

ᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲐ, ᲐᲠᲐᲙᲝᲛ�პᲔᲢᲔᲜᲢᲣᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ **სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგ ფაკულტეტზე, მათ შორის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, როგორც წინა წლებში, საინფორმაციო საშუალებები იუწყებოდნენ, გაბატონებული იყო კორუფცია, არაკომპეტენტურობა და პროვინციული ფაშიზმი. ეს ტენდენციები შესაძლოა დღესაც გრძელდება, რაც შესწავლას მოითხოვს.**

ბუნებრივია, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ფაკულტეტის ხელმძღვანელობის გარეშე კორუფცია არ იქნებოდა. მიუხედავად ამისა, იმდროინდელ ფაკულტეტის ხელმძღვანელებს დღესაც უკავიათ წამყვანი თანამდებობები, არა მარტო ფაკულტეტზე, არამედ **თსუ** აკადემიურ საბჭოშიც. საკუთარი ახლობლებისგან ისინი ქმნიან საკონკურსო კომისიებს, კონკურსებში ამარჯვებინებენ იმათ, ვინც მათ ინტერესებს დააკმაყოფილებს, თუნდაც შესაძლო კორუფციის თვალსაზრისით. ამის მაგალითია ის, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე კონკურსების ჩატარებისას საზოგადოებაში ტრიალებდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ასოცირებული პროფესორის კონკურსში გამარჯვება ღირდა 2 500 დოლარი, პროფესორის — უფრო მეტი და ა.შ. აღნიშნულის სისწორეში ეჭვი შეიძლება არ შეგეპაროს, რადგან სასამართლოს წესითაც ვერ მოხერხდა, კონკურსში მონაწილეთა ქულების რაოდენობის მოპოვება და დადგენა. პასუხი იყო — გადავყარეთ, გავანადგურეთო. რატომ? ეს ხომ უსამართლობა, არაკანონიერებაა.

უფრო მეტიც, რაიონებიდან „ცალი კალოშით“ ჩამოსულმა ფაკულტეტის ყოფილმა ხელმძღვანელებმა და ამჟამინდელმა ფაკულტეტის თანამდებობის პირებმა, რომელთაც სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების გარდა, არსად უმუშავიათ, როგორ დაგროვეს უდიდესი ღირებულების ქონება, შესასწავლია. რაც შეიძლება მნიშვნელოვანი მტკიცებულება გახდეს კორუმპირებულ პირთა გამოვლენისთვის.

კორუფციის თვალსაზრისით, ეჭვს იწვევს არასამამულო სახელმძღვანელოების შესყიდვა, შესაძლოა, ე. წ. „ატკატების“ ინტერესით. ეს მაშინ, როცა უკეთესი სამამულო სახელმძღვანელოები არსებობს.

სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ აღნიშნულზე არც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და არც განათლების სამინისტრო არ იბერტყავს ყურს. რაც სახელს უტეხს ხელისუფლებას, მმართველ ძალას. დამატებით მტკიცებულებას არ საჭიროებს ის, რომ იქ, სადაც კორუფცია მძვინვარებს, მეცნიერებასა და განათლებას ნაკლებად ექცევა ყურადღება.

რაც შეეხება ზოგიერთი პროფესორ-მასწავლებლის არაკომპეტენტურობას, გარკვეული აზრით, ეს კორუფციის არსებობის უტყუარი მტკიცებულებაა. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, უცოდინრობის გამო მათ ვერ გაუგიათ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ეკონომიკური თეორია რომ არ ისწავლება, რაც ეკონომიკური მეცნიერების არსებობას გამორიცხავს. ის კი, რაც გ. მენქიუს, „ეკონომიკის პრინციპების“ (თბ., 2000), სახელმძღვანელოს, რაც აშშ-ს ეკონომიკური პოლიტიკის შესწავლის სახელმძღვანელოს სახით ისწავლება, მიუღებელია საქართველოს სინამდვილისათვის, ვინაიდან სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, აშშ ფედერალური სახელმწიფოა, საქართველო კი — უნიტარული, რის გამოც ეკონომიკურ სინამდვილეებსა და კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი განსხვავებაა. უფრო მეტიც: აღნიშნულ სახელმძღვანელოში გამოყენებულ ცნებათა განმარტებებს მეცნიერებასთან არაფერი აქვთ საერთო. მაგ. გ. მენქიუს წიგნში, გვ. 4, ეკონომიკის ცნება ასეა განმარტებული „ეკონომიკა იმის შესწავლაა, თუ როგორ განაგებს საზოგადოება თავის შეზღუდულ რესურსებს“. ასეთი განმარტება გასდევს მთელ წიგნს.

საზოგადოებისთვის კი საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკონომიკა ეს არის საზოგადოებრივი წარმოება, სადაც იწარმოება მატერიალური დოვლათი და მომსახურება.

წიგნის 97-ე, 105-ე და ა. შ. გვერდებზე კანონი განმარტებულია ასე: „კანონი არის დებულება, რომლის მიხედვით საქონლის მიწოდება იზრდება ამ საქონლის ფასის ზრდასთან ერთად, როდესაც სხვა პირობები უცვლელია“.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით კი: „დებულება ეს არის ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოს თუ ორგანიზაციის სტრუქტურის კომპეტენციას, საქმიანობის წესს“ ესეც რომ არა, ყველასათვის ცნობილია, რომ „იურიდიული კანონი ეს არის ქცევის ზოგადი წესი. საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტი“. ხოლო ობიექტური კანონი არის „მოვლენათა მყარი, აუცილებელი, განმეორებადი, უზოგადესი საყოველთაო კავშირი“. ვფიქრობთ, აღნიშნულიც საკმარისია იმის გასაგებად, თუ რასთან გვაქვს საქმე, ასეთ უსწორობას დამატებითი კომენტარი აღარ სჭირდება, ვინაიდან პროფესორები ვერ ან სხვავებენ ეკონომიკურ თეორიას, ეკონომიკური პოლიტიკისაგან.

უსწორობა და შეუსაბამობაა სხვა მხრივაც. კერძოდ, საქართველოს სამეწარმეო და არასამეწარმეო, საქმიანობის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმები სხვა არის აშშ-ში, საქართველოს ფინანსური აგრეგატები სხვაა, აშშ-სა — სხვა და ა. შ. წიგნში უამრავი უსწორობაა. რასაც ეკონომიკის ფაკულტეტის ზოგიერთი პროფესორი ვერ აცნობიერებს, უფრო მეტიც, ამ პროფესურამ არ იცის ეკონომიკის ელემენტარული ცნებები. მაგალითად, ავტორთა კოლექტივის თუ 35 სტუდენტის მიერ ნათარგმნი ამერიკელი ეკონომისტების წიგნის საფუძველზე დაწერილი „მიკროეკონომიკის“ (თსუ, 2014), სახელმძღვანელოში (გვ. 9) ვკითხულობთ „ეკონომიკა საზოგადოებრივი მეცნიერებაა“. კვლავ ვიმეორებთ: ეკონომიკა საზოგადოებრივი წარმოებაა და არა მეცნიერება. მეცნიერება კი ეკონომიკური თეორიაა. ე. ი. ვერ ანსხვავებენ ეკონომიკასა და ეკონომიკურ თეორიას. უფრო მეტიც, მე-10 გვერდზე წერია „თუ ინდივიდის ხელფასი არის 700 ლარი, რეალური შემოსავალი იქნება“. ავტორებს განუმარტავთ, ეს იქნება რეალური ხელფასი და არა რეალური შემოსავალი, რომელიც არის ყველა სახის ფულადი შემოსავლების საარსებო საშუალებებში გამოხატვა, პლუს არაფულადი შემოსავლები.

ეკონომიკის პროფესორებს არ ესმით საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ცნებები, როგორებიცაა მოთხოვნა და მოწოდება. ისინი წერენ „მოთხოვნა — გადახდისუნარიანი მოთხოვნილებაა“. ეს მაშინ, როცა არსებობს არაგადახდისუნარიანი მოთხოვნაც, თუ იგი კმაყოფილდება ჩუქებით, საქველმოქმედო ღონისძიებებით და სხვა მსგავსი საშუალებებით, ე. ი. გადახდის გარეშე. მაშასადამე მოთხოვნის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე გადახდისუნარიანი მოთხოვნა.

არაკომპეტენტურობის და უსწორობის ფაქტია ფაკულტეტზე არსებული კათედრა „თეორიული ეკონომიკის“ სახელწოდებით, ვინაიდან თეორიული ეკონომიკა არ არსებობს. ეს ცნება მხოლოდ გარკვეული აზრით გამოიყენება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თეორია ეს არის ზოგადი და უზოგადესი ცნებების (კანონები, კატეგორიები, პრინციპები და ა.შ) ერთობლიობა, რაც ეკონომიკა არ არის. აი ამ ელემენტარული ცნებების არმცოდნე პირები არიან ეკონომიკის დოქტორები, პროფესორები, რის დაჯერებაც ძნელია.

ყოველვე აღნიშნულიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სწავლების დონე, ზოგი პროფესორ-მასწავლებლის არაკომპეტენტურობის გამო, ძალიან დაბალია. ამას ემატება მათი არაკომპეტენტურობისა და სხვა გარემოებათა გამო, საქართველოს ეკონომიკური სინამდვილისათვის შეუსაბამო არასამამულო ეკონომიკური სახელმძღვანელოების გამოყენებაც. ასევე კვლავ მივუთითებთ კორუფციის თვალსაზრისით სახელმძღვანელოების შესყიდვის პროცედურების შესწავლის საჭიროებას.

ზოგიერთი აკადემიკოსის განცხადება იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტის მიერ შესყიდულ იქნა არასამამულო ლიტერატურა. კორუფციული გარიგების თუ პროვინციული ფაშიზმის აშკარა ეჭვს ბადებს. ეს მაშინ, როცა საქართველოს ეკონომიკური სინამდვილის შესაბამისი სამამულო სახელმძღვანელო არსებობს, რომელიც პედაგოგიური და მეცნიერული დონით მრავალგზის აღემატება არასამამულო სახელმძღვანელოებს.

კორუფციულ გარიგებასაც რომ არ ჰქონდეს ადგილი, საქართველოს ეკონომიკური სინამდვილისა და კანონმდებლობის შეუსაბამო, მით უმეტეს დაბალი მეცნიერული დონის სახელმძღვანელოების გამოყენება არა მარტო აყეყეჩებს სტუდენტ ახალგაზრდობას, არამედ მათ შეძენაზე გაწეული ხარჯები აუარესებს ეკონომიკურ მდგომარეობას, ხელს უწყობს ინფლაციის ზრდას და ა. შ. რაც დროულ ყურადღების მიქცევას საჭიროებს, ჯერჯერობით ამ მხრივ გამკითხავი არავინაა. უწიგნური პროფესორები კი კუთხურობის, ნეპოტიზმის, ჰომოფობიის, ქსენოფობიის დახმარებით უფრო მეტად უძლეველნი და ბობოლები ხდებიან.

წლების განმავლობაში არა მარტო ეკონომიკის ფაკულტეტზე, საერთოდ **თსუ**-ში საბჭოთა კავშირის მთავარი იდეოლოგის მ. სუსლოვის რეკომენდაციითა და პოლიტბიუროს მითითებით, აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენელთა იზოლირება ხდებოდა, რაც დღესაც გრძელდება. ნახევარ საუკუნეზე მეტია **თსუ**-ს რექტორად აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენელი არ ჰყოლია (აღმოსავლეთში ნუთუ ხუბუას, კვიტაშვილის, შერვაშიძის და სხვათა დონის პიროვნება არ მოიძებნება?). საუკუნის განმავლობაში კი გარდა ერთეული გამონაკლისისა, თუ ვინმე აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენელი რექტორად დაინიშნა, უპირატესად გვარგადაკეთებული არაქართველია.

დამოუკიდებლობის მოპოვების პირობებში თსუ-ში კუთხურობამ და ნეპოტიზმმა პიკს მიაღწია. ნეპოტიზმის თვალსაზრისით, ზოგიერთი ოჯახი მთლიანად დასაქმებულია უნივერსიტეტში.

ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. დღესაც ე. წ. თეორიული ეკონომიკის კათედრა ერთი კუთხის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული. ეს მაშინ როცა სხვა კუთხეების წარმომადგენლები, მათზე ათჯერ მეტნი ყველა მიმართულებით, უნივერსიტეტიდან განდევნილნი იქნენ. ერთი სიტყვით, ავტონომიურობა კუთხურობისა და ნეპოტიზმის პირობებში ერის დაუძლურების მნიშვნელოვანი ბერკეტია, რასაც დროული ყურადღება უნდა მიექცეს, მით უმეტეს ქვეყნის წამყვან უმაღლეს სასწავლებელში. ამასთანავე არსებითი ღონისძიებები უნდა გატარდეს შესაძლო კორუფციის გამოსავლენად და არაკომპეტენტურობის აღმოსაფხვრელად, რათა მივიღოთ თანამედროვე ცივილიზაცია და არა ფეოდალიზმი.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲭᲘᲜᲭᲐᲠᲐᲣᲚᲘ,
ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ. ᲢᲔᲚ:593 51 63 44

ᲛᲐᲢᲧᲣᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲘ ᲥᲠᲗᲐᲛᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲘᲭᲘᲠᲔᲡ!

ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲝ სამსახურმა სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული თაღლითური განზრახვით, დაუკავშირდა ერთ-ერთ მოქალაქეს და დაარწმუნა იგი, რომ 3 500 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ შეძლებდა მის დასაქმებას საჯარო სამსახურში, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროში, მაღალანაზღაურებად თანამდებობაზე. დანაშაულებრივი განზრახვით, ბრალდებულმა მოქალაქეს წინასწარ მოსთხოვა და გამოართვა თანხის ნაწილი 2 000 აშშ დოლარი, რა დროსაც მოხდა მისი დაკავება.

„ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით“ — აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

◎ წინ, საქართველოვ!

დამოუკიდებელი **საქართველოს ისტორიაში პირველად 23-წლამდელ მძლეოსანთა ევროპის ზამთრის ჩემპიონატში, რომელსაც სლოვაკეთის ქალაქმა სამორინმა უმასპინძლა, გორელმა ბირთვის მკვრელმა გიორგი მუჯარიძემ ოქროს მედალი მოიპოვა.**

ამას წინათ მან გლაზგოში უფროსთა შორის იასპარეზა და მე-16 ადგილი დაიკავა. სლოვაკეთში კი კონკურენტთაგან ყველა შორს – 20.27 მეტრზე გაგზავნა ბირთვი და ჩემპიონი გახდა, თანაც საკუთარი რეკორდი (20.21) გააუმჯობესა.

თამაზ პატარიძე

◎ თაობა

ერთი „ვერცხლი“ და ხუთი „ბრინჯაო“

ასეთი **შედეგით დაასრულა პაექრობა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს 23-წლამდელთა ნაკრებმა სერბეთის ქალაქ ნოვი სადში, სადაც ამ ასაკში ევროპის ჩემპიონატი გაიმართა.**

კვარცხლბეკის მე-2 საფეხურზე ავიდა ედემი ბოლქვაძე (65 კგ), რომელმაც ფინალური შეხვედრა სომეხ ვაზგენ თაევანიანთან მინიმალური სხვაობით – 1:2 დათმო. დანარჩენი ხუთი ჩვენებური ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. მესამე ადგილისთვის პაექრობაში რობერტ დინგაშვილმა (57 კგ) სალიმ ნაიმი (ბულგარეთი, 5:4) დაამარცხა, გიორგი სულავამ (74 კგ) ფაზლი ერილმაზს (თურქეთი, 4:0) აჯობა, ტარიელ გაფრინდაშვილმა (79 კგ) ულადისლაუ იელისეიუს (ბელარუსი, 4:0), ზაურ ბერაძემ (86 კგ) – არკაძი პაჰასიანს (ბელარუსი, 4:2), ხოლო გივი მაჭარაშვილმა (97 კგ) ალექსანდრ პანტელიჩს (სერბეთი, 10:0) მოუგო.

გივი გაგუა

უსტერსა და მარაკეშში

შვეიცარიულ **უსტერში გამართულ ძიუდოისტთა ევროპის თასზე საქართველოს ნაკრების წევრებმა 4 ოქრო, 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვეს და გუნდური პირველობაც დაიმსახურეს.** პირველ ადგილებზე გავიდნენ ვლადიმერ ახალკაცი (81 კგ), ლაშა ბექაური (90 კგ), გიორგი ბერიაშვილი (100 კგ) და ამირან წიქორიძე (+100 კგ), თანაც ბექაურმა გადამწყვეტი შეხვედრა იმედა გოგოლაძეს მოუგო, ხოლო ბერიაშვილმა ქართულ ფინალში გიორგი ჩიქოვანს სძლია. ბრინჯაოს მედალი გიორგი ჩიხელიძეს (73 კგ) ერგო.

* * *

მაროკოს **ქალაქ მარაკეშში დასრულებულ ძიუდოისტთა გრან პრიზე ჩვენი ეროვნული ნაკრების წევრები ვერცხლსა და ბრინჯაოს დაყაბულდნენ:**

73 კილოში ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულმა და ევროპის ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა მეორე წრეში ალჟირელ ფეტჰი ნურინეს აჯობა, მერე მის გზას რუმინელი ალექსანდრუ რაიკუ გაუყენა, მეოთხედფინალში გამბიელი ფაიე ნჯიე დაჯაბნა, ნახევარფინალში ფრანგი გილიომ ჩაინე ვაზარით ჩამოიშორა გზიდან, ფინალში კი თავად დამარცხდა რუს დენის იარცევთან. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ამირან პაპინაშვილმა ყაზახ მაგჟან შამშადინსა და ესპანელ იუსტო ნუნიეს როდრიგესს იპონებით მოუგო, შემდეგ მომავალ ფინალისტთან – უკრაინელ არტიომ ლესიუკთან ვაზარით წააგო, დამამშვიდებელში მაროკოელ ისამ ბასუსა და ბრიტანელ ეშლი მაკენზის სძლია და მე-3 ადგილი დაიკავა.

დანარჩენი ქართველი ძიუდოისტები კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ.

ლექსო ცინცაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

თერთმეტგზის!

„ბორჯღალოსნები“ **რაგბი ევროპის (ყოფილი ერთა თასი) ოფიციალურ ჩემპიონატებში 2001 წლიდან მონაწილეობენ და პირველი ადგილი მეთერთმეტედ მოიპოვეს, ამჯერად – ვადამდე მას შემდეგ, რაც გერმანიის ეროვნულ გუნდს სძლიეს.**

ჩვენმა მორაგბეებმა წლევანდელ ტურნირში ზედიზედ მე-4 გამარჯვება იზეიმეს: წინა სამ რაუნდში რუმინეთს (18:9), ესპანეთსა (24:10) და ბელგიას (46:6) სძლიეს. მე-4 ტურში კი ქუთაისის სარაგბო სტადიონზე აუტსაიდერ გერმანიას დაუპირისპირდნენ და მეტოქე იოლად დაამარცხეს – 52:3. საგულისხმოა, რომ ჩვენებმა ალემანებს ზედიზედ მერვედ აჯობეს. საქართველოს ნაკრებს

4 ტურის შემდეგ 18 ქულა აქვს და მე-2 ადგილზე მყოფ ესპანეთს ხუთი ქულით უსწრებს. „ბორჯღალოსნებმა“ ბოლო მატჩი რომც წააგონ, პირენეელებს ქულებით გათანაბრების შანსი ექნებათ, მაგრამ პირად შეხვედრაში უპირატესობა ქართველთა მხარესაა და მათს ჩემპიონობას არაფერი ემუქრება.

რაც შეეხება იმერეთში გამართულ მატჩს, ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მილთონ ჰეიგმა, წინა პაექრობებთან შედარებით, გუნდი საგრძნობლად გადაახალისა. „აია არენაზე“ მასპინძელთა რიგებში 5 ქუთაისელი მორაგბე (გიორგი ნემსაძე, ბექა გიგაშვილი, ოთარ გიორგაძე, მირიან მოდებაძე და თედო აბჟანდაძე) გამოჩნდა, რომელთაგან განსაკუთრებით მოდებაძე გამოირჩა, რომელსაც სამი ლელო გაიტანა. ორივე ტაიმში დამხვდურთა უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ მატჩის მიმოხილვა ზედმეტია. მთავარი ის არის, რომ საქართველოს ნაკრებმა ხელდახელ თამაშით ქომაგებს ლამაზი სანახაობა შესთავაზა და დიდი სხვაობითაც გაიმარჯვა.

ტურნირის დასკვნით ორთაბრძოლას „ბორჯღალოსნები“ 17 მარტს კრასნოდარში რუსეთთან გამართავენ. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები მე-4 ტურის შეხვედრაში სტუმრად რუმინეთთან დამარცხდნენ – 20:22, ხოლო ესპანელებმა მადრიდში ბელგიელებს აჯობეს - 33:9. ბოლო ტურში ესპანეთი სტუმრად გერმანიას ეთამაშება, ბრიუსელში კი ბელგია რუმინეთთან გაარკვევს ურთიერთობას.

ლაშა დიდია

◎ სუმო

მოგებაც, წაგებაც

ტოჩინოშინის **შიკონათი ცნობილმა ქართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ იაპონიის ქალაქ ოსაკაში მიმდინარე საგაზაფხულო სუპერტურნირზე პირველი მარცხი განიცადა. შეგახსენებთ, რომ მან**

სტრატზე ცუკიოტოშის ილეთით დაიეიშოს სძლია.

აღმოსავლეთის მე-2 ოძეკის წოდების მქონე ქართველი სეკიტორი გუშინ დასავლეთის მე-2 მაეგაშირა მიოგირიუს გაეჯიბრა და, სამწუხაროდ, უშანსოდ დამარცხდა. იაპონელმა ექს-სეკი-ვაკემ უპირატესობა თავიდანვე ხელთ იგდო, ჩვენებურს სასურველი ჩავლების აღების საშუალება არ მისცა და დოჰიოდან ოშიდაშით გაიყვანა.

ცხადია, წაგება სამწუხაროა, თუმცა, ამ ორთაბრძოლამ კიდევ უფრო ცუდი რამ წარმოაჩინა: ტოჩინოშინი ტრავმიანობის შემდეგ სასურველ კონდიციებში ისევ არაა და დადებითი ბალანსის (კაჩიკოში) დაფიქსირება ძალიან გაუჭირდება.

არადა, შეგახსენებთ, რომ ლევანი კადობანში გახლავთ ჩაყენებული, ეს კი იმის მომასწავებელია, რომ თუკი მინიმუმ 8 შერკინებას არ მოიგებს, ოძეკის პრესტიჟულ ტიტულს დაემშვიდობება.

ჰარუ ბაშოს მე-3 დღეს ტოჩინოშინის მოწინააღმდეგე დასავლეთის კომუსუბი ჰოკუტოფუჯი იქნება, რომელთანაც ქართველს თანაბარი ბალანსი (2:2) აქვს.

რანგით მე-2 დივიზიონ ჯურიოში კვლავაც პირველი გამარჯვების მოლოდინშია თეიმურაზ ჯუღელი, იგივე გაგამარუ, რომელიც საგაზაფხულო სუპერტურნირს აღმოსავლეთის მე-8 განთესვით შეხვდა.

ქართველმა გოლიათმა გუშინ აღმოსავლეთის მე-7 ნომერ აძუმარიუსთან შიტატენაგეთი წააგო, დღეს კი დასავლეთში მე-6 რეიტინგის მქონე ცურუგიშოს შეერკინება, რომელთანაც გასული 8 შეხვედრიდან მხოლოდ სამში უმარჯვია.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

სკანდალები პარაგვაიში

ლათინოამერიკული **სერიალების სიუჟეტები მთლად მოგონილი რომ არაა, ეს პარაგვაის საფეხბურთო კლუბ „ლიბერტადში“ ბოლო დროს დატრიალებული სექს-სკანდალებითაც დადასტურდა. ევროპაში ბევრისთვის უცნობ ამ გუნდში ისეთი ამბები მოხდა, რომ, როგორც აწგარდაცვლილი ჯანსუღ ჩარკვიანი იტყოდა: „კაცი ვერ გაიგებს, ვისი ვიოლინო ვის როიალშია!“.**

ჯერ იყო და კლუბის მწვრთნელი ლაიონელ ალვარესი მოხსნეს იმ მოტივით, რომ მას სატრფიალო რომანი ჰქონდა „ლიბერტადის“ ერთ-ერთ ფეხბურთელ ედგარ ბენიტესის ცოლთან – პატი გონსალესთან. ალვარესი კი იძახდა, სუფთა ვარ, ვითარცა მყინვარწვერიო, მაგრამ მას არ დაუჯერეს და კლუბიდან მაინც კოხტად მიაბრძანეს.

ამ ყველაფრის პარალელურად კი ცნობილი გახდა, რომ არც „ლიბერტადის“ აწ უკვე ყოფილი მწვრთნელის საყვარელი ჯოანა გარსია ყოფილა სულით კრისტალი და იგი ამ უცნაური კლუბის კიდევ ერთ ფეხბურთელ ტაკურა კარდოსოსთან დაძვრებოდა. ამას ჯოანა უარყოფს, ტაკურა კი იძახის, ნუ ატაკურებთო. ერთი კი ნაღდია – ლათინოამერიკული სერიალების სიუჟეტები მართლაც რეალურ ამბებზე ყოფილა აგებული!...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ჩვენი კარაბადინი

გული სიყვარულისთვის არსებობს და არა ავადმყოფობისთვის!

მთელი სიცოცხლის მანძილზე ადამიანის გული, საშუალოდ სამ მილიარდჯერ ფეთქავს. იმისთვის, რომ ეს „მგზნებარე ძრავა“ დროზე არ გაჩერდეს, საჭიროა მისი „ტექდათვალიერების“ დროდადრო გულდასმით ჩატარება.

ექიმები დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ გულის სისხლძარღვთა თანამედროვე გამოუცხადებელი ეპიდემია, რომელმაც მსოფლიო მოიცვა, ევოლუციის შედეგია. ამასთან, ფაქტია, რომ ბოლო ასწლეულების მანძილზე კაცობრიობა ფიზიოლოგიურად, ფაქტობრივად არ შეცვლილა, მაგრამ ცხოვრების ნირმა კი მეტად მნიშვნელოვანი მეტამორფოზები განიცადა. სტრესებზე ჩვენ წინაპრების მსგავსად ვრეაგირებთ, კერძოდ, არტერიული წნევისა და სისხლძარღვთა ტონუსის მომატებით, რაც თავის ტვინის



◎ ინფორმაცია თემაში

რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანების სიცოცხლეს აკლდება:

– ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შედეგად – 0,5 წელი;
– სიმსუქნის გამო – 0,7 წელი;
– არტერიული ჰიპერტონიის წყალობით – 1,6 წელი;
– ჰიპოდინამიის გამო – 2,4 წელი;
– შაქრიანი დიაბეტის სნეულება – 3,9 წელს, ხოლო თამბაქოს მოწევა კი – 4,8 წელს „იწირავს“.

მიერ გაცემული საბრძოლო დანიშნულების განკარგულებების შესრულებას უზრუნველყოფს. თუმცა კი მათ, ასე ვთქვათ, „პირველყოფილ დონეზე“ შესრულების შესაძლებლობას თანამედროვე აღზრდისა და კორპორაციული ეთიკის ნორმები არ გვაძლევს. ამიტომაცაა, რომ ყველა განცდას ჩვენ, ფეხმოუცვლელად, გულშივე ვიმარხავთ, სტრესულ ემოციებს კი ზედმეტად კალორიული საკვებით, ანდა ალკოჰოლის მიღებით თუ თამბაქოს მოწევით ვანელებთ. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ჩვენს ჯანმრთელობაზე უარყოფითად არა მარტო გაჯეტებისა და ინტერნეტის დიდი ხნის მანძილზე მოხმარება, არამედ მრავალი მავნე ჩვეულებაც, მათ შორის, თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლის მოხმარება, ჰიპოდინამია მოქმედებს.

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ **თამბაქოს მოწევის გამო დედამიწის ეკონომიკას ყოველწლიურად 2,1 ტრილიონი დოლარი აკლდება (შედარებისთვის: ასეთივე ოდენობის ზარალი მოაქვს ყველა ომს, შეიარაღებულ კონფლიქტსა და ტერორიზმს); 1,4 ტრილიონი დოლარი აკლდება ალკოჰოლიზმის გამო. ეს კი, ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ მარტო მავნე ჩვევების გადაგდებით კაცობრიობას მსოფლიო ეკონომიკის საგრძნობლად გაუმჯობესებაც შეუძლია და ჯანმრთელობის შენარჩუნებაც!**

მეცნიერებმა გამოთვალეს: თამბაქოს მოწევაზე უარის თქმა ერთ წელიწადში ინფარქტისა და ინსულტის რისკს 50 პროცენტით ამცირებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თამბაქოს მოწევით მიყენებული ზიანი სულ მცირედით აჭარბებს ჭარბი წონის გამო მიღებულ ზიანს. სიმსუქნე – ადამიანის გარეგნობის მარტო ესთეტიკური დეფექტი კი არა, ჰიპერტონიისა და შაქრიანი დიაბეტის, ასევე გულის სისხლძარღვთა და ონკოლოგიურ დაავადებათა ჩამოყალიბების მძლავრი ხელშემწყობი ფაქტორია.

საიმისოდ, რომ გულის სისხლძარღვების დაავადებათა გამო სიკვდილიანობა მცირდებოდეს, საჭიროა:

ცხოვრების ჯანმრთელი წესის დაცვა – თამბაქოს მოწევაზე უარის თქმა, კვების რეჟიმის შეცვლა, აქტიურად, დღეში 30-40 წუთი მოძრაობა; საოჯახო მედიცინის ცენტრებში რეგულარული დისპანსერიზაციის გავლა – ანალიზების ჩატარება და ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის გამოკვლევა; არტერიული წნევის რეგულარული კონტროლი; ავადმყოფობის გამოვლენის შემდგომ, მკურნალი ექიმის დანიშნულებათა განუხრელად შესრულება.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
კოსტავას ქ. №21. 599 79-76-79;
568 82-09-84

სულთათანა

სულიკო მირიანაშვილი



ჩვენ კლასში ყველას თავისი გატაცება ჰქონდა. ზოგი სპორტით დაკავდა, ზოგი მეცნიერებით, ზოგი კინოთი.

სულიკო მირიანაშვილმა კი თავიდანვე მუსიკა შეიყვარა.

როდესაც სკოლაში ხალხურ საკრავთა ორკესტრი ჩამოყალიბდა, კლასიდან მხოლოდ ის შეარჩიეს (ჭუნირზე უკრავდა).

მერე იყო კონსერვატორია, კონტრაბასის კლასი, შემდეგ უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრი, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის და ბოლოს სულიკო ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრის წევრი გახდა.

სულიკო იყო ჩვენი კლასის სული და გული, მხიარული, თბილი და კეთილი.

ხშირად ვხვდებოდით კლასელები მის პატარა ბინაში მთაწმინდაზე, თამარა დეიდასა და შვილებთან ერთად.

წელს სკოლის დამთავრების 60 წელი უნდა აღგვენიშნა.

სულიკო მირიანაშვილის გარდაცვალებით ჩვენ კიდევ ერთი კარგი მეგობარი დაგვაკლდა.

სულიკოს სამშაბათს, 12 მარტს 3 საათზე გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში დაკრძალავენ.

თბილისის 47-ე სკოლის 1959 წლის მე-10 მეორე კლასის კურსდამთავრებულები.

სანთელი

საქართველოს ქალთა საბჭო დიდი გულისტკივილით იუწყება აღმასრულებელი საბჭოს წევრის, ქალთა მოძრაობის უერთგულესი ქომაგისა და ამაგდარის, მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული, უკეთილშობილესი ქალბატონის

ლიანა ღუდუშაურის

გარდაცვალებას, თანაუგრძნობს ოჯახსა და მის მრავალრიცხოვან გულშემატკივარს.

რობოტი პეპელა

მოდელი MetaFly-ს სიგრძე 19 სანტიმეტრია, ხოლო ფრთების სიგრძე 29 სანტიმეტრი. საოცარი სათამაშო პეპელა 10 გრამს იწონის. მიკროსკოპული ძრავა, რომელსაც ალუმინის გული აქვს, ენერგიას პოლიმერის აკუმულატორისგან იღებს, რომლის დატენვასაც 15 წუთი სჭირდება. რობოტის ფრენის რესურსი 8 წუთია.

მოდელი MetaFly ფრთების აქნევის შედეგად დაფრინავს, ხოლო მანევრებს კუდის მოძრაობით აკეთებს. რობოტი პეპელას მაქსიმალური სიჩქარეა 18 კმ/სთ. სათამაშოს ფასი 78 დოლარია. განსხვავებული მოდელები 129 დოლარი ღირს.

კომპიუტერების უმსხვილესი მწარმოებლები – ტოპ-6

ჩინური LENOVO 2018 წელს გახდა კომპიუტერების უმსხვილესი მწარმოებელი მსოფლიოში – კომპანია GARTNER-ის კვლევის შედეგების მიხედვით, მისი წილი კომპიუტერების გლობალურ ბაზარზე შეადგენს 22,5%. საგულისხმოა ისიც რომ ტოპ-6-ში ასევე არის 2 კომპანია ტაივანიდან და 3 – კომპიუტერების სამშობლოდან – აშშ-დან.

6. ASUS, 2018 წლის გაყიდვები – 15,5 მლნ. ერთეული, ბაზრის 6%.

ტაივანური კომპანია აწარმოებს კომპიუტერულ ტექნიკას და სათადარიგო ნაწილებს – ნოუთბუქებს, პლანშეტებს, დედაპლატებს, გრაფიკულ რუკებს, მონიტორებს, მაუსებს, ტელეფონებს, სმარტფონებს და ასევე პროფესიულ აპარატურას ინტერნეტის განაწილებისთვის.

5. ACER, 2018 წლის გაყიდვები – 15,7 მლნ. ერთეული, ბაზრის 6,1%.

კომპანია მდებარეობს ტაივანში, აწარმოებს კომპიუტერებს, მონიტორებს, ოპერატიულ მეხსიერებას, კლავიატურას, ნოუთბუქებს, და ასევე პროფესიულ აღჭურვილობას ინტერნეტის განაწილებისთვის.

4. APPLE, 2018 წლის გაყიდვები – 18,01 მლნ. ერთეული, ბაზრის 6,9%.

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული, ამერიკული კომპანია, აწარმოებს პერსონალურ კომპიუტერებს, პლანშეტებს, ნოუთბუქებს, აუდიოპლეერებს, სმარტფონებს, პროგრამულ უზრუნველყოფას.

ითვლება პერსონალური კომპიუტერების და სმარტფონების წარმოებაში ერთ-ერთი პიონერად.

3. DELL, 2018 წლის გაყიდვები – 41,9 მლნ. ერთეული, ბაზრის 16,2%.

ამერიკული კორპორაცია კომპიუტერების ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელი მსოფლიოში. კომპანიის დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვანელია მაიკლ დელი. კომპანია აწარმოებს კომპიუტერებს, ნოუთბუქებს, პლანშეტებს, სერვერებს, მონაცემთა შენახვის ბაზების მოწყობილობას, ქსელურ აღჭურვილობას, MP#-პლეერებს, მაღალი ხარისხის ტელევიზორებს და პროგრამულ უზრუნველყოფას.

2. HP INC. 2018 წლის გაყიდვები – 56,3 მლნ. ერთეული, ბაზრის 21,7%.

ამერიკული კომპანია, შეიქმნა 2015 წელს, Hewlett-Packard-ის სამართალმემკვიდრე.

კორპორაციაში მუშაობს 50 000 ადამიანი, საწარმო სიმძლავრეები მდებარეობს აშშ-ში, სინგაპურში, მალაიზიაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

ძირითადად აწარმოებს კომპიუტერებს და პრინტერებს.

1. LENOVO GROUP LIMITED, 2018 წლის გაყიდვები – 58,4 მლნ. ერთეული, ბაზრის 22,5%.

ჩინური კომპანია, კომპიუტერების და სხვა ელექტრონიკის მწარმოებელი.

შტაბ-ბინა მდებარეობს პეკინში, კვლევითი ცენტრები – პეკინში, შანხაიში, შენჩჟენში, და იაპონიის ქალაქ იამატოში.

კომპანია ყიდის კომპიუტერებს, პლანშეტებს და სმარტფონებს 160 ქვეყანაში. უშვებს პროდუქციას რამდენიმე ბრენდის ქვეშ – Lenovo, ThinkCentre, ThinkPad, ThinkVision, და IdeaPad.

ლაშა ტალახაძე გოგონას მამა გახდა, ვულოცავთ!

ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის 3-გზის ჩემპიონი, ძალოსანი ლაშა ტალახაძე გოგონას მამა გახდა.

ლაშამ და მისმა მეუღლემ, ანა დემურიამ გოგონას მარიამი დაარქვეს. გოგონა იმედის კლინიკაში, 3 კილო და 500 გრამი დაიბადა.

ცხვირის ქექვა და ცინგლის ჭამა სასარგებლოა

ადამიანების უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ცხვირის ქექვა და ცინგლის ჭამა, უხერხული ქცევაა. თუმცა, ახალი კვლევის მიხედვით, ამ უხერხულ ქცევას დადებითი შედეგებიც მოაქვს. ამის შესახებ Independent-ი წერს.

ცხვირის ქექვა არც ისე იშვიათია, განსაკუთრებით ბავშვებში. შესაბამისად, ახალი კვლევის მიხედვით, მშობლებმა ბავშვებს ეს ქცევა არათუ უნდა დაუშალონ, არამედ უნდა მიბაძონ კიდეც მათ.

სასუნთქ გზებში არის ლორწო, რომელიც იცავს მას მიკრობებისა და ვირუსების ზემოქმედებისაგან. კერძოდ, სურდო ხშირად ვირუსული წარმომავლობისაა. ორგანიზმი ასეთი სახით ცდილობს, შეაჩეროს ინფექცია ცხვირში და არ მისცეს შორს წასვლის საშუალება ყელსა და ფილტვებში.

ფილტვის სპეციალისტი, პროფესორი ფრიდრიხ ბიჩინგერი მიიჩნევს, რომ ადამიანები, რომლებიც ცხვირს იქექენ უფრო ჯანსაღები და ბედნიერები არიან, ვიდრე სხვები.

„ცინგლის ჭამა შესანიშნავი გზაა ორგანიზმის იმუნური სისტემის გაუმჯობესებისთვის, გარდა ამისა, ეს ბუნებრივი გზაა. ცხვირი არის ფილტრი, რომელშიც ბაქტერიები იყრის თავს და როდესაც ეს ნაზავი ნაწლავებში ხვდება, მას წამლის ეფექტი აქვს“, — ამბობს ავსტრიელი მეცნიერი. მკვლევარები ახლაც ცდილობენ, სინთეზური ლორწოვანი გარსის შექმნას, რომელიც შეიძლება საღეჭ რეზინად ან კბილის პასტად გარდაქმნან, რომლებსაც ანალოგიური სასარგებლო თვისებები ექნებათ.

დახმარების მსურველთა საყურადღებოდ!

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

49 წლის ჯენიფერ ლოპესი მეოთხედ თხოვდება



ცნობილი მსახიობი და მომღერალი ჯენიფერ ლოპესი მეოთხედ თხოვდება. იგი ცოლად ამერიკელ ბეისბოლისტს ალექს როდრიგესს მიჰყვება. ჯენიფერ ლოპესმა ნიშნობის ბეჭდით ფოტო ინსტაგრამის გვერდზე გამოაქვეყნა.

ქორწილის თარიღი წყვილს ჯერჯერობით არ დაუსახელებია. მომღერალი და ყოფილი სპორტსმენი 14 წელია, იცნობენ ერთმანეთს, თუმცა შეხვედრები მხოლოდ ორი წლის წინ დაიწყეს. ორივეს ორ-ორი შვილი ჰყავს.

არქეოლოგების შემაძრწუნებელი აღმოჩენა პერუში

პერუში არქეოლოგებმა შემაძრწუნებელი აღმოჩენა გააკეთეს, ერთ-ერთ დიდი მოცულობის სამარხში მათ 137 ბავშვის გვამი აღმოაჩინეს, რომელთაც გული ამოკვეთილი ჰქონდათ.

მეცნიერები აცხადებენ, რომ ეს არის დღემდე აღმოჩენილი ბავშვთა ყველაზე მასშტაბური მსხვერპლთშეწირვის დამადასტურებელი სამარხი. სამარხში ორივე სქესის ბავშვებთან ერთად ნაპოვნია 3 მოზრდილი ადამიანისა და 200 ლამას ჩონჩხებიც. იქვე აღმოჩენილია უცნაური ფორმის დანაც, რომლითაც ბავშვებს ჯერ კლავდნენ, ხოლო შემდეგ გულს აცლიდნენ. სამარხი მეთხუთმეტე საუკუნის შუა პერიოდს განეკუთვნება. მსხვერპლშეწირვა ღმერთების საამებლად მოახდინეს, რათა მათ მასშტაბური წყალდიდობა შეეჩერებინათ.

დღისით ნახევარ საათს თუ წაუძინებთ...

უძილობა რომ საშინელებაა, ყველამ კარგად ვიცით. მეცნიერებმა კი დაადგინეს, რომ ადამიანთა მხოლოდ 3 პროცენტს შეუძლია თავი მხნედ იგრძნოს მაშინ, როცა დღე-ღამეში 6 საათზე ნაკლები სძინავთ.

ისე კი, კაცმა თავი კარგად რომ იგრძნოს, მას დღე-ღამეში 7-8 საათი უნდა ეძინოს. ძილის დროს ადამიანს ორი ძირითადი ფაზა ენაცვლება — ნელი და სწრაფი, თანაც თავდაპირველად ჭარბობს ნელი ფაზა, გაღვიძების წინ მატულობს სწრაფი ძილის ხანგრძლივობა. უძილობა დედამიწაზე ყოველ მესამე კაცს სჭირს, ნორმალურად კი მოსახლეობის მხოლოდ 40 პროცენტს სძინავს. ნანახი სიზმრებიდან ადამიანი მხოლოდ 10 პროცენტს იმახსოვრებს. თამბაქოს არამწეველები, მწეველებთან შედარებით უფრო ხასხასა სიზმრებს ხედავენ. მუცლად ყოფნის დროს ჩვილს სიზმრების ნახვა განვითარების 25-ე კვირას შეუძლია. თუკი კაცი კვირაში სამჯერ მაინც ახერხებს დღისით ნახევარი საათით დაძინებას, გულის შეტევისგან სიკვდილის რისკი მას 37 პროცენტით უმცირდება.

იცით თუ არა, რომ...

....გულის გამძლეობა საკმარისია 150 წლის მუშაობისთვის, ადამიანის გულისძგერა კი ჩასახვიდან მეოთხე კვირას იწყება.

...ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მძღოლიც და მგზავრებიც თითქმის კოსმიურ დატვირთვასა და აჩქარებას განიცდიან: თუკი მძღოლს ღვედი არ უკეთია, 80 კმ/სთ სიჩქარით დაჯახების დროს შემთხვევათა 90 პროცენტში მას გულ-მკერდი ჩაენგრევა, ვინაიდან მისი წონა 80-ჯერ იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ 75 კილოგრამი წონის კაცმა 6-ტონიანი გრდემლის დარტყმა მიიღოს.

...დედამიწაზე ყოველი მეოთხე-მეხუთე ადამიანი ამა თუ იმ ფსიქიკურ ან ქცევით აშლილობას უჩივის.

...65 წლის ასაკს გადაცილებულ ადამიანებში თითქმის ყოველი მესამე სმენის დაქვეითებას უჩივის.

...შუა საუკუნეების ევროპაში კბილებს ჯალათები იღებდნენ, რუსეთში კი ამას პარიკმახერები აკეთებდნენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6878; ევრო - 3.0396;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5318
100 რუბლი - 4.0740; თურქული ლირა - 0.4942;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5857;
1000 სომხური დრამი - 5.4887.

ამინდი 12 მარტისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +21, დღე +22
მთიანი რაიონები - ღამე -3, დღე +19
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +7, დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე -1, დღე +21
თბილისი: ღამე +3, დღე +19

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge